№ 157

კვირა, 4 სექტემბერი

1877—1905

№ 157

კვირა, 4 სექტემბერი

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან., თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

„მოგზაურის რედაქცია თავის ხელის მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ დღევანდელი (4 ენკენისთვის) ნომერი (№ 33) რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ვერ გამოდის.

ივანე საბას ძე და [illegible] მარკოზის ძე ტყეშელაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ 29 სეკტემბერს ტფილისში მომხდარ სამწუხარო ამბის მსხვერპლის, [illegible] ძმისა და მეორე ბიძის

ანტონ საბას ძე ტყეშელაშვილის

გარდაცვალებას, სთხოვენ დაესწრონ პანაშვიდს ქაშვეთის ეკლესიაში დღეს, კვირას, ნაშუადღევს 1 საათზე.

29 აგვისტოს ქალაქის საბჭოში მომხდარ უბედურების დროს სასიკვდილოდ დაჭრილი

პანტელეიმონ იესეს-ძე თალაკვაძე

გარდაიცვალა მიხეილის საავადმყოფოში, 2 სექტემბერს, სადამოს 8 საათზე, რასაც გულითადის მწუხარებით იუწყებიან ძმა გარდაცვალებულისა **კლიმენტი იესეს ძე თალაკვაძე და მისი ნაცნობ-მეგობრები.**

კნეინა ანნა ალექსანდრეს ასული ამილახორისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 4 სეკტემბერს,

გენ.-ადიუტ. თავად ივანე გივის ძე ამილახორის

გარდაცვალების მეცხრე დღეს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდი დაიწყება შუადღის 12 საათზე. (2—2).

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი,** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) [illegible] **გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—19)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., სადამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ჟ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. აპეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ხ. ქ. აგიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არჯანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ი ვ ა ნ ე პ. ა ხ ა ლ შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში,

ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

„გაპროლეტარების" მოძღვრება და ჩვენი ცხოვრება

დღეს, როცა ყველა პროგრესიული ძალები ამხედრებულნი არიან და პიროვნების დამბჩაველ ბიუროკრატიულ რეჟიმს ებრძვიან, როცა ახალი ცხოვრების მოთხოვნილებით გამოწვეული მოძრაობა დაუნდობელ ომს უცხადებს მოქალაქობრივობის დამხშველ ძველ წესწყობილებას, ჟურნალ-გაზეთობაში ხშირად იხმარება სიტყვა „მონობა", რომელსაც ჩვეულიბრივ ან პოლიტიკური და ან ეკონომიური მნიშვნელობა ეძლევა. საზოგადოების შეგნებული და მოწინავე ელემენტები ებრძვიან პოლიტიკურსა და ეკონომიურ დაბეჩავება-დამონავებას და ამ ტემაზე წერილების კითხვით მკითხველი შეჩვეულია იმ აზრს, რომ მონობა შესაძლებელია იყოს მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიური.

მაგრამ არის კიდევ ერთგვარი მონობა, რომელიც თავის ხასიათით არც პოლიტიკურია და არც ეკონომიური... ეს სხვა სახის მონობა გახლავთ მონობა გონებრივი და პოლიტიკურ-ეკონომიურისაგან იგი, სხვათა შორის, იმით განირჩევა, რომ არ არის ნაძალადევი,—გონებრივად დამონებულნი არ არიან რაიმე გარეშე ძალით დამონებულნი, არამედ მათი მონობა თავის ნებით და ნება-ყოფლობით არის მომხდარი.

ჩვენ ხომ ბედისაგან არ გვაკლია ამგვარი დოვლათი და ამიტომ, იმედია, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ჩვენ ამ მესამე „სორტის" მონობასაც არ ვართ მოკლებულნი... ქართველ ახალგაზრდათა ერთ ჯგუფს გონებრივ მონობას ისე მაგრად აქვს ფეხი [illegible]დებული, რომ თვით დამონებულთ, რომელნიც ჩვეულებრივად პოლიტიკურ და ეკონომიურ მონობის წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძვიან, ეს მესამე გვარი მონობა სრულიად არ ეუცხოვებათ და სრულიად არ გრძნობენ ასეთ მდგომარეობით შექმნილ გონებრივ უთავისუფლობასა და შევიწროებას. იმათთვის არ არსებობს მეცნიერების წინსვლა და განვითარება გარეშე იმ თეზისებისა, რომელნიც მათს პარტიულს პროგრამაში სწერია; მათი პროგრამის ყოველი თეორიული თეზისი ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელსაც მუდმივი და საყოველთაო მნიშვნელობა აქვს, და მისი დარღვევა ან, ცხოვრების განვითარების მიხედვით, შესწორება არ შეუძლიან არავითარ მეცნიერებასა და ფილოსოფიას. მეცნიერების მსვლელობა გაიყინა თურმე თეზისებზე და ამიტომ სწავლა-ცოდნა პარტიის პროგრამის ამა თუ იმ მუხლს თავის დღეში ვეღარ გასცილდება. საკმარისია ეს თეზისები დაისწავლოთ და თავის სიმბოლო სარწმუნოებისად აღიაროთ, რომ თქვენ ყველა სოციალური მოვლენანი ზეპირად ახსნათ და მზესავით ჭეშმარიტების შუქით გაანათოთ. ყოველი თეზისი, რომელიც კი მიღებულია პარტიის პროგრამაში, სწორი თეორიული დასკვნაა არა მარტო ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრების ფაქტებისა, არამედ საზოგადოდ ყველა ქვეყნების განვითარებისა. და ადვილად გასაგებია, რომ რახან ასე რამდენიმე თეზისის ზეპირად დასწავლა სამეცნიერო-თეორიის გაყინვის მომხრე-მოტრფიალეებს საკმაოდ მიაჩნიათ ჩვენი ცხოვრების მსვლელობის გასათვალისწინებლად, ისინი ჩამორჩენილად და იდეურ მეწვრილ- თეზისს კრიტიკის თვალით უცქერის და ჩვენს ცხოვრებას აკვირდება, რათა დარწმუნდეს, მართლა ისე ხდება თუ არა რეალურ ცხოვრებაში ის, რაც მას თეზისებში ამოუკითხავს. ჩვენი ბრძენი იდეოლოგები „მოგზაურის" ბანაკიდან, მაშინვე განგაშს მოჰყვებიან და ვითომდა მიუვალ თეორიულ ციხის დასაცველად ლანძღვა-გინებით გატენილ ზარბაზნების სროლას მოჰყვებიან...

წინადაც გვითქვამს და ახლაც გავახსენებთ მკითხველს, რომ ორთოდოქსალ მარქსიზმის ერთ-ერთ თეორიულ დოგმას, რომელიც ჩვენებურ დასელებს სათაყვანებელ ჭეშმარიტებად აქვთ მიჩნეული, შეადგენს ეგრედ-წოდებული „მოძღვრება გაპროლეტარებისა". როგორც იცით, სოციალ-დემოკრატიას სწამს, რომ სასოფლო მეურნეობაშიაც სხვილი წარმოება ბაზარზე კონკურენციის ძალით სჩაგრავს წვრილ საგლეხო წარმოებას და აპროლეტარებს გლეხობას. ამის გამო სრული კაპიტალისტური წარმოება თანდათან დიდდება და იზრდება, ხოლო წვრილი საგლეხო საკუთრება ასევე თანდათან სუსტდება და ჰქრება. ამიტომ ს.-დემოკრატია წვრილ წარმოებას, ვითარცა გასაქრობად განწირულს, ვერ გაუწევს ქომაგობასა და მფარველობას.

ასეთია ხსენებულ პარტიის თეორიული მოსაზრება და ამავე მოსაზრებას აღიარებს თავის სიმბოლო სარწმუნოებისად ხსენებულ იდეოლოგთა ჯგუფიც, „მოგზაურის" ბანაკიდან.

ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია ჩვენებურ სოფლებში, იმას, უეჭველია, სიცილად არ ეყოფა ასეთი თეზისით განმარტება ჩვენი სასოფლო მეურნეობის მდგომარეობისა. მთელი საქართველო რომ დაიაროთ, ვერ ნახავთ თითქმის ვერც ერთ ისეთს სხვილ კაპიტალისტურ წარმოებას, რომელზედაც შეიძლებოდეს ვსთქვათ, რომ იგი, ხმარებულ უმჯობეს ტეხნიკის წყალობით, სჩაგრავს და აქრობს წვრილ მეურნეობას. ას მემამულეში არ მოიძებნება ხუთი, რომელიც თავის საკუთარ მეურნეობას ეწეოდეს და, ვითარცა გაუმჯობესებულ ტეხნიკის უპირატესობით აღჭურვილი, ბაზარზე წვრილ მწარმოებელს, ვითარცა ტლანქ საწარმოვო ტეხნიკის მხმარებელს, ამარცხებდეს. თუ რაიმე ტეხნიკური გაუმჯობესება შედის ჩვენებურ სასოფლო მეურნეობაში, ეს ხდება არა სხვილ მემამულეთა ან მწარმოებელთა, არამედ წვრილ მწარმოებელთა საშუალებით. დიდძალი ნაწილი სასოფლო სამეურნეო წარმოებისა საქართველოში ეკუთვნის არა სხვილ წარმოებას, არამედ წვრილს. სულ რაღაც 40 წლის წინად თითქმის მთელი ქართველი გლეხობა ბატონყმობის უღელ ქვეშ იყო და მას არ ჰქონდა საკუთრება. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ მოხდა ის აუარებელი ზრდა და გამრავლება წვრილ მესაკუთრეებისა, რომელსაც მთელს საქართველოში და განსაკუთრებით კი ქუთაისის გუბერნიაში ვხედავთ. სხვილმა წარმოებამ,—რომელიც ჩვენში არ არსებობს,—არა თუ ვერ დასჩაგრა წვრილი წარმოება, არამედ, პირიქით, სხვილ მემამულეთა მიწათ-მფლობელობას მოაკლდა და თვალსაჩინო ნაწილი მიწისა წვრილ გლეხების ხელში გადავიდა და ამ გვარად წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი გამრავლდა. ჩვენ შეგვიძლიან თამამად ვთქვათ, რომ საქართველოში სხვილ საკუთრებას, ტეხნიკის უპირატესობის წყალობით, არც ერთი გლეხი არ გაუპროლეტარებია.

მაშ ჩვენში არ ხდება გლეხთა წრეში გაპროლეტარება? გვკითხავს მკითხველი. უეჭველია, ხდება, მაგრამ ეს არის გამოწვეული არა სხვილ წარმოების ტეხნიკის უპირატესობითა და კონკურენციით, არამედ ხალხის გამრავლებით. ხალხი შეუჩერებლივ მრავლდება, ხოლო მიწის საერთო სივრცე ერთი და იგივე რჩება. გლეხობამ ძალაუნებურად უნდა მოიშოროს და ქალაქის მრეწველობას უნდა გაუგზავნოს ის ელემენტები, რომლებისთვისაც საგლეხო მიწათმფლობელობაში საკმაო მიწა არ რჩება და, მაშასადამე, ამ ელემენტებს სასოფლო მეურნეობით თავის რჩენა აღარ შეუძლიანთ. ამგვარად ქართველ სამრეწველო პროლეტარიატის გამოჩენა იმას კი არ მოასწავებს, რომ წვრილი წარმოება ჰქრება,—პირ იქით, ეს წარმოება დიდდება, მხოლოდ ნაკლების სისწრაფით, ვიდრე ხალხის გამრავლება.

„მოგზაურის" იდეოლოგებს კი ჰგონიათ, რომ ეს მომასწავებელია წვრილ წარმოების გაქრობისა და ამიტომ მათ საჭიროდ არ მიაჩნიათ, „დაიცვან გლეხობა წინამე კაპიტალისტურ წარმოებისა". „მოგზაურის" ერთი ბურჯი, ბ-ნი ფ. მახარაძე, ასეთ სიბრძნესაც ჰქადაგებს: ქართველ ერის დიდძალი უმრავლესობა პროლეტარიაო, და პროლეტარების რიცხვში სთვლის არა მარტო მართლა პროლეტარებს, არამედ მესაკუთრე გლეხებს, ხელოსნებს და ვაჭრებსაც!...

უეჭველია, ზოგიერთი ჩვენი მოწინააღმდეგენი ასეთ შენიშვნას მოგვცემენ: თუ ქართველ გლეხობაში ჯერ არ მოქმედობს ტეხნიკის განვითარების საფუძველზე დამყარებული გაპროლეტარების ბურ[illegible] სასოფლო მეურნეობაში კაპიტალი შევაო.

ამ შენიშვნის საპასუხოდ საჭიროა გადავხედოთ ევროპის ეკონომიურ ცხოვრებას, სადაც უმწვერვალესობამდის არის განვითარებული კაპიტალისტური წყობილება, და დავამტკიცოთ, რომ გაპროლეტარების დოგმა იქაც არ მართლდება...

* * *

სამზადისი ერობის მოლოდინში

—

მიუხედავად სხვადასხვა ხელოვნურ დაბრკოლებისა, ცხოვრება მაინც შეუჩერებლივ წინ მიდის. ხალხის თვით შეგნება სწრაფად ვითარდება. არ დარჩენილა არც ერთი ისეთი კუთხე და, ვინ იცის, იქნება არც ერთი ისეთი ადამიანი, რომელიც აბობოქრებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას არ ჩაეფიქრებინოს, რომელიც არ დაკვირებოდეს თავის არსებობას და არ ცდილიყოს თავისთვის ანგარიში მიეცა და გამოერკვეია, თუ რა როლი ეკუთვნის მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ხალხი ამოძრავდა, თავის მდგომარეობას ჩაუფიქრდა, საზოგადოებრივი მიმდინარეობა გამოირკვა... უმრავლესობის წინანდელ უაზრო საზოგადოებრივ სიზანტეს მოჰყვა დღეს იმავე უმრავლესობის შეგნებული მოქმედება. ძველი ცხოვრება ძირიანად შეირყა. რამდენიც დრო მიდის, იმდენად ძველი პირობების არსებობა შეუძლებელი ხდება. ძველი ზომები მხოლოდ წინააღმდეგ მიზანს აღწევენ. ყველაფერი ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დღეს თუ ხვალ ხალხის ინტერესები, ხალხის მიდრეკილება შესაფერ გამოხატულებას მიიღებს და საზოგადოებრივ ცხოვრების გარკვეულ სახედ ჩამოისხმება. ხალხის მრავალ-მხრივი ცხოვრება შესაფერ საზოგადოებრივ ფორმას შეიმუშავებს, რომ გაუძლევს თავის ინტერესებს. ცხადია, ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება ახალ ნიადაგზე დამყარება არა მარტო საერთო პოლიტიკურ წყობილებისა, არამედ ადგილობრივ ცხოვრებისაც.

რუსეთში დღევანდელ წყობილებაში არსებობდა ქალაქის თვითმართველობა და ერობა. ერობა ერთნაირი ადგილობრივი თვითმართველობაა, რომლის საგანს შეადგენს ადგილობრივ საქმეების გაძღოლა, ადგილობრივ ინტერესების დაცვა. ყოველი თვითმართველობა, ყოველნაირი ხალხის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კრებული მხოლოდ მაშინ იხეირებს, როცა ამ კრებულის ორგანიზაცია, მიდრეკილება და მოქმედება შეფარდებულია ცენტრალურ, უმთავრეს ორგანიზაციასთან. თუ ადგილობრივი თვითმართველობა სხვა პრინციპზეა აგებული, ვიდრე ცენტრალური გამგებლობა, მაშინ მართვა გამგეობის ამ ორ ტიპს შორის აუცილებლად გაიმართება წინააღმდეგობა და ნორმალური მოქმედება შეუძლებელი შეიქმნება. ასეთ წინააღმდეგობას მოჰყვება ადგილობრივი თვითმართველობის დაჩაგვრა... ამიტომაც ყველა შეგნებული და მოწინავე ელემენტები უნდა ცდილობდნენ, რომ... ადგილობრივი თვითმართველობა ერთ პრინციპზე იქნეს აგებული, რომ იცოცხლოს და განვითარდეს...

რა პრინციპია ეს პრინციპი?

წარმომადგენლობითი სისტემი სხვადასხვა ნაირია იმის მიხედვით, რა უდევს მიზნად წარმომადგენლობას. არის სისტემა, რომელიც იცავს წოდებრივ უპირატესობასა და პრივილეგიებს, რადგან ამ სისტემის წყალობით წარმომადგენლებად ირჩევიან პრივილეგიის მქონე წოდების წარმომადგენლები და, მაშასადამე, ამ პრივილეგიების დამცველნი. არის საარჩევნო სისტემა აგებული შეძლებაზე,—ცენზიანი, რომლის წყალობით წარმომადგენლებად მიდიან მხოლოდ კაპიტალის მქონენი და, მაშასადამე, კაპიტალის ინტერესების დამცველნი. უკანასკნელად არის კიდევ ერთი სისტემა, რომელიც იურიდიულად ათანასწორებს შეძლებულთ და შეძლებას მოკლებულთ, რომელიც მოქალაქობრივ უფლებებს იურიდიულად მაინც ორსავე მხარეს თანასწორ ანიჭებს. მხოლოდ ეს სისტემა აძლევს ხალხს შეძლებას თავისი ინტერესები დაიცვას, მხოლოდ ეს სისტემა უზრუნველჰყოფს ხალხის ნორმალურ განვითარებას. მას გადააქვს სტიქიური ბრძოლა კაპიტალსა და შრომის შორის საკანონმდებლო კრებულში და ამით ხელს უწყობს ქვეყნის დაუბრკოლებელ ევოლუციას. ის ხალხს ამზადებს ახალ სოციალურ ცხოვრებისათვის. ამიტომ ერთად ერთი სისტემა, რომელსაც შეგვიძლიან ვუწოდოთ სახალხო წარმომადგენლობის სისტემა, არის საყოველთაო, ორივე სქესისთვის თანასწორ კენჭის ყრაზე დამყარებული. ამ სისტემაზე უნდა იქმნას აგებული როგორც საზოგადო, ისე ადგილობრივი თვითმართველობა. ყოველი სხვა სისტემა დამცველი იქნება იმ უპირატესობისა და პრივილეგიებისა, რომელსაც ცხოვრებაში ადგილი აქვს.

მეორე კითხვა, რომელიც ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, არის ცენტრალურ გამგებლობისა და [illegible] თვითმართველობის [illegible]ებრივ ორგანიზაციისა უნდა ჩავთვალოთ [illegible] უფალ თვითმმართველ კომუნათა შეთანხმებული კავშირი. ყოველივე სახალხო წარმომადგენლობა იმდენად დემოკრატიული იქნება, რამდენადაც მათში მონაწილეობას იღებს ხალხი, რამდენადაც ის ახლოა ხალხთან. ხალხს შეძლება უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლად გაუძღვეს თავის საქმეებს, რაც შეიძლება მეტი გავლენა ჰქონდეს თავის არჩეულებზე და მთელ მმართველ საკრებულოზე. მეორე მხრით, ზრუნვა ბევრ სახალხო საქმეებზე თანდათან ერთმევა სახელმწიფოს და გადადის საზოგადოების ხელში. ეს აუცილებელი ევოლუცია სრულ სავსებით შეთანხმებულია დემოკრატიის განვითარებასთან. რამდენადაც დემოკრატია ვითარდება, იმდენადვე ფუნქციები სახელმწიფოსი, ვითარცა ერთ მთლიან ორგანიზაციისა, მცირდება. მაგრამ ეს შემცირება არ ნიშნავს საზოგადოებრივ მოქმედების შემცირებას. პირიქით, საზოგადოებრივი მოქმედება, შეერთებულის ძალით საერთო საქმეების გაძღოლა დღითი-დღე იზრდება. ხოლო ეს საქმეები გადადის ადგილობრივ თვითმართველობის ხელში.

ამიტომაც ჩვენი მიზანი უნდა იყოს, თუ ჩვენში რაიმე თვითმმართველობა გაჩნდება, ერობისა თუ რაიმე სხვა სახით, მოვუპოვოთ მას, რაც შეიძლება, ფართო და დამოუკიდებელი ასპარეზი, რომ ამით ხალხს მივცეთ შეძლება დამოუკიდებლად გამოამჟღავნოს და განავითაროს თავისი საზოგადოებრივი შემოქმედი ძალა და თავი დააღწიოს დღევანდელ ყოველ მხრივ შევიწროებულ მდგომარეობას...

R.

სათათბირო და თვითმართველობა.

—

დეპეშებმა ამ რამოდენიმე დღის წინად პეტერბურგიდან ორი მნიშვნელოვანი ამბავი შეგვატყობინეს.

გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე გამოუთქვამს, რომ კავკასია უნდა იყოს მოკლებული მონაწილეობას სახელმწიფო სათათბიროში. კავკასიაში იმდენად არისო გამწვავებული მდგომარეობა—რომ იქ წესიერ არჩევნების მოხდენა არ შეიძლებაო.

მეორე ამბავი ის არის, რომ ზოგიერთი მოწინავე ჯგუფი მოითხოვს სხვადასხვა ეროვნებისთვის ავტონომიას, აცხადებს, რომ ყველა ცალკე მოსახლე ეროვნებას უნდა ჰქონდეს მინიჭებული უფლება, თავისი შინაური და ადგილობრივი საქმეები თვითონვე განაგოს, რომ საერთო სათათბიროს თუ საკანონმდებლო კრებულს უნდა ეხებოდეს მხოლოდ ის საქმე, რომელიც საერთო არის ყველა ეროვნებისთვის. ამასთან ერთად მოითხოვენ, რომ ადგილობრივ ენებს ადგილობრივ დაწესებულებებში სახელმწიფო, რუსულ ენასთან თანასწორი უფლება ჰქონდეს, რომ ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირად ერთი ენა არ იყოს გაბატონებული ყველგან სახელმწიფოში...

სახელმწიფო სათათბიროში კავკასიის გამოკლება ეწყინება მას, ვინც ამ სათათბიროს მეტად აფასებს, ვინც არის დარწმუნებული, რომ ეს დაწესებულება ხალხისთვის სასარგებლოა, ვისაც უნდა ისარგებლოს სათათბიროში წარმომადგენელთა გაგზავნით იმისთვის, რომ მიაღწიოს ერთხელვე დასახულ მიზანს და არა სათათბიროდ ახალ კანონების შესახებ.

პირიქით მათთვის, ვინც სათათბირო უფლებას არაფრად აგდებს, ვინც გადამწყვეტ ხმას მოითხოვს სახელმწიფოში, სათათბირო ხმის დაკარგვა მაინცა-და-მაინც არ ეწყინება.

ვინ არ იცის, რომ ზოგიერთი სათათბიროში მონაწილეობის მიღებას აპირობს იმ იმედით, რომ ის საქმე, რომელიც საზოგადო ძალთა ზრდამ შექმნა, სათათბიროზე არ გაჩერდება და კიდევ ახალ ცვლილებებს გამოიწვევს სახელმწიფოში. ვინ არ იცის, რომ ამ ცვლილებების აუცილებლობა თითქმის ერთხმად აღიარა რუსულმა პრესსამ, რომ რუსეთში მცხოვრებმა სხვადასხვა ეროვნებამ იმ თავითვე გამოაცხადა, ცენტრალურ ორგანოს მოწყობა ჩვენ მხოლოდ ნახევრად დაგვაკმაყოფილებსო, რომ მასთან ერთად გვჭირია ადგილობრივი კრებები, ადგილობრივი კანონმდებლობა.

და აი, ახლა უფრო გარკვევით წამოაყენეს ამ რეფორმის საჭიროება. პოლონელები ამ მოძრაობას სათავეში დაუდგნენ,—ავტონომიური წყობილება ჩვენთვის აუცილებელი არისო, ცენტრალისტურად მოწყობილ რუსეთში ისევე ძველებურად იქმნება გაბატონებული ერთი ეროვნებაო, რუსეთში ისევე შემოვა ეროვნული განხეთქილება, რომელიც ხელს უშლის ხალხის ბუნებრივ განვითარებას.

ამავე აზრს ადგიან დანარჩენი ერებიც. დღემდის დამონებული სხვადასხვა ეროვნება ცდილობს თანასწორობის მოპოვებას სახელმწიფოში და ამისათვის სათათბიროში მონაწილეობას არაფრად აგდებს. ამისათვის მოითხოვს მხოლოდ ადგილობრივ თვითმართველობას...

ი. ლ—ძე.

პროლეტარი და გლეხი.

„მოგზაურის“ ზოგიერთ თანამშრომელს ერთი თვისება სჭირს: თუ საკამათო საგანი იშოვნეს, ისე დაიწყებენ მსჯელობას, თითქოს მარქსზე და ენგელსზე სულ ცოტა ერთი მტკაველით მაინც იყვნენ მეტი. ვინ არის ქვეყნის მარილი? მხოლოდ ის! ვინ არის პატიოსნებითა და სინიდისიერებით აღსავსე? მხოლოდ ის,— სხვა ყველა უსინიდისობისა და უპატიოსნობის ბუდეა. ვინ არის ჭკუითა და ცოდნით სავსე? მხოლოდ ის,—სხვა ყველა [illegible] არიან შეპყრობილნი, ეკუთვნის ბ-ნი ფ. მახარაძეც. მისმა უკანასკნელმა წერილმა „მოგზაურ“-ში ამგვარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. სხვა თვისებათა შორის ბ-ნ მახარაძეს ერთი სამაგალითო თვისებაცა სჭირს: ის საუცხოვო გულთამხილავია,—ყველას გული, ყველას განზრახვა, ყველას მისწრაფება მას ხელის გულზე აქვს გადაშლილი. მან ჩაიხედა ჩემს გულში და იქ დაინახა, რომ მე ბურჟუაზიის დამცველი ვარ და, რადგანაც სახელწოდებისა მეშინიან, ამიტომ ბურჟუაზიის მაგიერ ვხმარობ სიტყვას „ხალხს“. ვინც თავიდან ბოლომდე წაიკითხავდა ჩემს წერილს დაკვირვებით, ის დარწმუნდებოდა, რომ მე ხალხს ვუწოდებდი და ვუწოდებ სოფლის გლეხკაცობას და არა ბურჟუაზიას, მაგრამ ბ-ნ მახარაძეს სიმართლე კი არ აინტერესებს: ის ერთად-ერთის სურვილით არის გატაცებული,—უნდა დაამტკიცოს, რომ მე ბურჟუაზიის დამცველი ვარ!

ამის დამტკიცება ფრიად ადვილი გამოდგა: ბ-ნმა მახარაძემ ახსნა, რომ მე ბურჟუაზიას ვუწოდებ ხალხს და ამით ყოველისფერი დამტკიცდა! მე ვწერდი: პროლეტარიატის ყოველი მისწრაფება ხალხის (ანუ გლეხობის) კეთილდღეობას პირდაპირ არ შეეხება-მეთქი. აქედან შესაძლებელია მიუდგომელ ადამიანისათვის მხოლოდ ერთად-ერთი დასკვნა: თუ პირდაპირ არ შეეხება, მაშ შეეხება არა-პირდაპირ. ბ-ნ მახარაძეს კი აი რა დასკვნა გამოჰყავს აქედან: „გომართელის აზრით პროლეტარიატისა და ხალხის ინტერესები ერთიერთმანეთს ეწინააღმდეგებიანო“!

ბ-ნ მახარაძის აზრით, პროლეტარია: ქარხნისა და ფაბრიკის მუშა, წვრილი ხელოსანი, წვრილი მოვაჭრე და წვრილი გლეხობა. შეიძლება ვცდებოდე, ხოლო პროლეტარი მე ასე არ მესმის: პროლეტარს ვუწოდებ მე ისეთ ადამიანს, რომელსაც არავითარი სახსარი არ გააჩნია ცხოვრებისა თავის ფიზიკურ ძალ-ღონის გაყიდვის გარეშე. თუმცა გლეხკაცობა იყვლიფება ისე, როგორც პროლეტარიატი, მაგრამ გლეხკაცობა მიწის მესაკუთრეა და ამიტომ მე მას არა ვთვლი პროლეტარად. თუ პროლეტარებს ვუწოდებთ ყველა ღარიბებს, მაშინ მთელ რუსეთში ბიუროკრატიისა, მდიდარ ბურჟუაზიისა და მდიდარ ინტელიგენტების გარდა, ყველა პროლეტარები იქნებიან, მაგრამ ამგვარი განმარტება შემცდარი განმარტებაა, დღემდის მე მეგონა, რომ გლეხკაცობა პროლეტარიატი კი არ იყო, არამედ გაპროლეტარების გზას ადგა; დღეს კი მესმის, რომ გლეხკაცები იგივე პროლეტარები ყოფილან!..

...ამიტომ პროლეტარიატის ბრძოლას, პროლეტარიატის მისწრაფებას ორი სახე აქვს: კლასიური და ეროვნული.

ამას ვამბობდი ჩემს წერილში და იქვე ვუმატებდი: ამით განირჩევა პროლეტარიატი ყველა სხვა კლასებისაგან-მეთქი, და ბ-ნი მახარაძე კი ასე უხსნის თავის მკითხველებს: გომართელი ფეოდალურ და ბურჟუაზიულ პარტიებსა და პროლეტარიატს ერთნაირად უყურებსო. ეჭვს გარეშეა, ყოველდღიურ ცხოვრებაში პროლეტარიატს აქვს თავისი საკუთარი ინტერესები, რომლებიც პირდაპირ არ იცავენ გლეხობის კეთილდღეობას, და ეჭვს გარეშეა ისიც, რომ გლეხობასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში აქვს თავისი საკუთარი ინტერესებიც; ავიღოთ, მაგალითად, გზები და ექიმობა. თუ მხედველობაში მივიღებთ ისეთ ხანას საზოგადოებრივ განვითარებისას, როდესაც პროლეტარიატს ყოველგვარი კავშირი აქვს სოფელთან გაწყვეტილი, მაშინ კარგი გზები და ექიმობის რიგიანად მოწყობა სოფელში [illegible] ინტერესს. ამგვარი მაგალითები ბევრი შეიძლება ჩამოთვალოს ადამიანმა.

აღნიშნულ წერილში მე ვამბობდი,—ჩვენში მუშათა კლასს ჯერ სრულებით არ შეუწყვეტია კავშირი სოფელთან-მეთქი. იმის მაგიერ, რომ ბ-ნმა მახარაძემ ეს დასაბუთებით უარჰყოს, ოხუნჯობითა და ბანზე სიტყვის აგდებით კმაყოფილდება: რა ბედნიერები ყოფილან ჩვენი მუშები, ზამთარში ქალაქში ცხოვრობენ და ზაფხულში სოფელშიო. გლეხი ხშირად იტყვის ხოლმე: ფულის მოსაგებად წაველი, ფულის მოგებაში ვიყავით, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის გასამდიდრებლად წასულიყოს: აქ ის „მოგებას“ შოვნის, ქირის მნიშვნელობით ხმარობს. მეც ამ მნიშვნელობით ვიხმარე. და ამაზედაც ოხუნჯობს ბ-ნი მახარაძე! როდესაც მე ვამბობ, მუშა სოფელში სახლკარს იუმჯობესებს-მეთქი, ბ-ნ მახარაძეს ეს საშინლად უკვირს: ჩვენი მუშა გაყვლეფილია და რითი გაიუმჯობესებს ის სახლკარსო. დიაღ, ჩვენი მუშა გაყვლეფილია, მაგრამ იმ მცირე ქირიდან, რომელსაც ის იღებს, ის იძულებულია, გადაარჩინოს რამე და ამით თავისი მოთხოვნილებანი საშინელს მინიმუმზე დაიყვანოს, რომ ამგვარად საკუთარ თავის შევიწროებითა და დამშევებით სოფელში ოჯახს როგორმე დაეხმაროს. ჩვენს მუშას სოფელთან თუ ჯერ კავშირი ვერ შეუწყვეტია, ეს მის კეთილდღეობის ნიშნად კი არ მიმაჩნია, როგორც ეს ბ-ნ მახარაძეს წარმოუდგენია,—პირიქით, ეს გარემოება უფრო აძნელებს ჩვენი მუშის კეთილდღეობას, რადგანაც მუშა იმდენსაც ვერ შოულობს, რომ კუჭი რიგიანად გამოიძღოს, და ამავე დროს კი იძულებულია, ამ მცირეოდენიდანაც გადინარჩუნოს რამე სოფელში ოჯახისათვის.

რაც უნდა იყოს, იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენს მუშას სოფელთან ყოველგვარი კავშირი საკუთრების სახით შეწყვეტილი აქვს, დასაბუთებული მსჯელობაა საჭირო და არა ოხუნჯობა და გაკვირვებითი ნიშნები.

ბათომში ათი-ათასზე მეტი მუშა უადგილოდ დარჩა. სად წავიდნენ ისინი? უმეტესი ნაწილი სოფელში, იმ სოფელში, რომელთანაც დღესდღეობით მათ კავშირი აქვთ და, თუ ამას ვერ ხედავს ბ-ნი მახარაძე, ეს რა ჩემი ბრალია!

ი. გომართელი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აგვისტო.

პეტერბურგი. დღეს თათრულ გაზეთის „ნურ“-ის პირველი ნომერი გამოვიდა.—დანამდვილებით გავიგეთ, რომ პეტერბურგის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი გუჩი სატუსაღოების უმაღლეს სამართველოს უფროსად ინიშნება, ნაცვლად სტრემუხოვისა, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს მეორე დეპარტამენტის დირექტორობას აძლევენ.

სარატოვი, 2 ენკენისთვე. მოხდა სამღვდელოებათა კრება, რომელზედაც ლაპარაკი იყო ამის შესახებ, თუ როგორ უნდა მოექცეს სამღვდელოება თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობას. კრებაზე აღძრულ იქმნა ის საკითხი, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს დებულებაში გამორკვეული არ არის, სახელდობრ: ეძლევა თუ არა უფლება წარმომადგენლის არჩევისა იმ მღვდლებს რომლებიც ქალაქში საეკლესიო სადგომებით სარგებლობენ. რამდენიმე პირმა სასარგებლოდ დაინახა, რომ სამღვდელოებამ სრულიად უარი სთქვას სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობაზე, რადგანაც ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებში ჩარევა სამღვდელო- [illegible] ბულ იქმნა პირველი წინადადება.

ტიანძინი, 2 ენკენისთვე. გაზეთები იუწყებიან, რომ ჩინელები გერმანელების წინააღმდეგ აპირობენ ამხედრებასაო.

იოკაჰამა, 1 ენკენისთვე. საელჩოებს, ეკლესიებსა და სასტუმროებს ჯარი იცავს. ბრბო რკინის ჯოხებით არის შეიარაღებული.

კოპენჰაგენი, 2 ენკენისთვე. ფიქრობენ, რომ კარლსბადის მოლაპარაკება სასურველ შედეგს ვერ მოიტანს და საქმეში კონტინენტის სახელმწიფოები ჩაერევიანო.

ოდესა. 2 ენკენისთვე. გაირჩა საქმე ტარტაკოვსკისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, ვითომც მას რამდენჯერმე რევოლვერი ესროლოს როტისთვის, როდესაც უკანასკნელი არეულობის ჩაქრობად პოლიციას ეხმარებოდა. სასამართლომ ტარტაკოვსკისა გაამართლა.

პეტერბურგი. რჩევამ გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით დაამთავრა შემუშავება იმ წესების პროექტისა, რომლითაც დებულება სახელმწიფო სათათბიროს შესახებ სისრულეში უნდა მოვიდეს. პროექტი მხოლოდ 51 გუბერნიას შეეხება. ახლა იხილავენ საკითხს პოლონეთის შესახებ; შემდეგ კი კავკასიას, ციმბირსა და ფინლიანდიისაც შეეხებიან.—საზავო ხელშეკრულობა მიაქვს პლანსონს, რომელიც პირდაპირ პეტერბურგში მიდის.

პეტერბურგი, 2 ენკენისთვე. თანახმად იმ წესებისა, რომლებიც გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით განსაკუთრებულმა რჩევამ შეიმუშავა, იმ ქალებს, რომლებსაც დებულებაში აღნიშნული ცენზი აქვთ, ამომრჩეველთა სიებში არ ჩარიცხავენ. თუ თავიანთ ცენზს ასეთი პირობებით ქმრებს, ან შვილებს გადასცემენ, ამომრჩეველთა სიებში ეს უკანასკნელნი იქმნებიან ჩარიცხულნი. სამხედრო პირებს რწმუნებულება თავიანთ შვილებს შეუძლიანთ გადასცენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელნი ნამდვილ სამსახურში არ არიან და მათი ამომრჩევლობა დანარჩენ პირობებს არ ეწინააღმდეგება. წარმომადგენლების ამორჩევის დროს, სევასტოპოლის საგრადონაჩალნიკო სიმფეროპოლის მაზრას მიეწერება, კრონშტადტი—პეტერბურგისას, ქერჩი—თეოდოსიისას და ნიკოლაევისა—ხერსონისას. სევასტოპოლსა, ბალაკლავსა, კრონშტადტსა, კერჩენიკალსა და ნიკოლაევში საქალაქო ამომრჩეველთა ცალკე კრებები გაიმართება. სავოლოსტო კრებების დადგენილებებს და რწმუნებულთა ამორჩევის საქმეს საერობო უფროსები არ განიხილავენ. სახელმწიფო სათათბიროს წევრების ამოსარჩევი დრო ხელმწიფე იმპერატორის მიერ იქმნება გამოცხადებული. სათათბიროს წევრების სიას სენატი „პრავიტ. ვესტ.“ გამოაცხადებს ხოლმე.

პარიზი, 2 ენკენისთვე. გუშინ, საღამოთი, აქ მოვიდა პროფესორი მარტენსი, რომელიც სხვადასხვა ჟურნალისტებს ელაპარაკა და, სხვათა შორის, ასეთი აზრიც გამოსთქვა: თუმცა ნახევარ სახალინის დაკარგვა რუსეთისთვის დიდს დანაკლისს წარმოადგენს, მაგრამ მომავალში მას შორეულ-აღმოსავლეთში მაინც უპირატესობა მიეცემაო, რადგანაც ამ უპირატესობას ინდო-ჩინეთში საფრანგეთის მდგომარეობა ძალიან ხელს შეუწყობსო.

სევასტოპოლი, 1 ენკენისთვე. „გეორგი პობედონოსეც“-ზე მომხდარ არეულობის შესახებ სევასტოპოლის სამხედრო საზღვაო სასამართლოს დადგენილება შეცვლილ იქმნა ასე: სტეპანოვს სიკვდილით დასჯა უვადო კატორღად შეუცვალეს; დადგენილება დნენისკოსა და კაშებას შესახებ კი დამტკიცებულ იქმნა.

გოძიადანი, 1 ენკენისთვე. გუშინ ჩრდილოეთისკენ პრინცი [illegible] ლეოპოლდი გაემგზავრა. პრინცი ვლადივოსტოკისა და ხაბაროვსკის ნახვას აპირობს.

ტოკიო, 1 ენკენისთვე. („დეილი ტელეგრაფი“) [illegible] ამ შემთხვევას დიდს მნიშვნელობას აძლევენ და აცხადებენ, რომ უბედურების ნამდვილი მიზეზები ჯერაც არ არის გამორკვეული. ხმები, ვითომც გემი პროტესტის გამოსაცხადებლად დაეღუპოთ მატროსებს, სრული სიცრუეა. ამ საქმის გამოსაძიებლად დაინიშნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც ტოგო თავმჯდომარეობს; ამ კამისიამ უნდა გამოიკვლიოს, აგრეთვე, ოფიცერთა და უფროსის ქცევაც.

პეტერბურგი, 2 ენკენისთვე. გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლების კრებაზე, პირველ ენკენისთვეს, განხილულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული ინსტრუქცია. ინსტრუქცია წარმომადგენლების არჩევის დროს სახელმძღვანელოდ არის გამოცემული.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთისა და იაპონიის ფლოტის ზარალი. „ნ. ვრ. პრეს.“-ში იაპონიის ოფიციალურ ცნობებიდან გადმობეჭდილია ანგარიში რუსეთისა და იაპონიის ფლოტების ზარალი წარსულ ომში.

ნაღმებისგან და ქარიშხალისგან იაპონელებს დაეღუპათ 3600 მატროსი და აფიცერი, რუსებს 6200. დაჭრილი და ავადმყოფი იაპონელების მხრით 2409 კაცია, რუსებისა კი 53,000. ომში მონაწილეობას იღებდა იაპონიის 76 სამხედრო გემი. აქედან 12 დაიღუპა, დანარჩენი 64 გემი უვნებელია და შემდეგშიაც გამოდგებიან საბრძოლველად. იაპონიის ფლოტმა დაიჭირა უცხოელთა 49 გემი; 8 უკანვე დაუბრუნა, 41 მიისაკუთრა. იაპონიას დაეღუპა 16 სავაჭრო გემი, ასე რომ ბოლოს იაპონიამ შეიძინა 25 ახალი გემი. რუსებს ომის დასაწყისს 93 სამხედრო გემი ჰქონდათ. აქედან დაიღუპა 57, იაპონელებმა დაატყვევეს—7, სანეიტრალო პორტებში დარჩა--19, ვლადივოსტოკში—10. ამჟამად შორეულ-აღმოსავლეთში რუსეთს აქვს მხოლოდ 29 გემი (ს. ო.).

ახალი ამბავი

◆ როგორც მკითხველებმა იციან ქ. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ **სახალხო სკოლების პროგრამის შესადგენად** მიიწვია: ბ-ნნი პ. გოთუა, ი. ს გოგებაშვილი, ლ. ბოცვაძე, ი. გომელაური, პ. სურგულაძე, ს. ხუნდაძე და ბ. რაზიკაშვილი. კომისიის დადგენილებით დამთავრებულის ტიპის სახალხო სკოლები უნდა იყოს ერთ კლასიანი 4 წლის კურსით, ხოლო ორ-კლასიანი 6 წლის კურსით. საგნები სკოლებში ქართულს ენაზედ უნდა ისწავლებოდეს. რუსულ ენას, როგორც საგანს, ასწავლიან მესამე წლიდან. პროგრამაში შეტანილ იქნება შემდეგი საგნები: ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, პრაქტიკული გეომეტრია, ქიმია, ხატვა, პოლიტიკური ეკონომია, ბუნების მეტყველება და სხვა. დაწვრილებით თვითეულ საგნის შესახებ პროგრამის შემუშავება მიენდო შემდეგ პირთ: არითმეტიკისა და გეომეტრიისა—ი. გომელაურს, რუსულ და ქართულ ენებისა და ხატვისა—ლ. ბოცვაძეს, ისტორიისა—ს. ხუნდაძეს, პოლიტიკურ ეკონომიისა და სჯულ-დებისა—ბ-ნ გოთუასა და ნ. ელიავას, ბუნების მეტყველებისა, გეოგრაფიისა, ფიზიკისა, და ისტორიისა—პ. სურგულაძესა და ს. იაშვილს, ხოლო ხელსაქმისა—ა. თუმანიშვილ-წერეთლისას. კომისია მთელს მასალას სასწავლო გეგმისას თავს მოუყრის და თავმჯდომარის, ბ-ნ გოთუას ხელით წარუდგინეს საზოგადოების მომავალ კრებას.

◆ ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლმა **გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა** აღძრა, 17 სექტემბრისათვის საგანგებო საგუბერნიო კრების მოწვევის შესახებ. კრებაზე განიხილავენ საკითხებს: კახეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ, თავად აზნაურებზე დარჩენილ საადგილ-მამულო ხარჯების დი ახალ ხარჯის გაწერის შესახებ, სახელმწიფო და საადგილმამულო ბანკებში დაგირავებულ თავად-აზნაურთა მამულებზე დარჩენილ სავალო შესატან ფულის განაწილებისა, პრიკაზში დაგირავებულ თავად-აზნაურთა მამულების საჯარო ვაჭრობისაგან გადარჩენის შესახებ.

◆ ტფილისის **გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას**, რომ ქალაქის მოურავი 2 თვის ვადით სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა. რაც შეეხება მის თხოვნას სამსახურიდან გადაყენების

ფელეტონი

შვილი მუშა ბოქულაძისა

(ლექსიბური)

ნუ მიყურებ აგრე გაკვირვებითა!
გავიცანი ჩემი თავი აწ კი მე,
შრომის ოფლით განწმენდილ-განბანილსა,
მანუგეშებს მომავალი სიამე!..

—

ნუ ირჯები!.. შებრალებას აღარ გთხოვ,
ეს ქადარა მისთვის როდი მახსია!
ტანჯვამ მშობა, შრომამ გამომკვება მე
სიღარიბემ აკვანი დამირწია,
გამაკაჟა ცხოვრების სიდუხჭირემ...
გაეფოლადდი შენგან ნაგვემ-დევნილი
ვერ გამტეხა შენმა ბრმა სივერაგემ,
გადევიტანე ათასი განსაცდელი!

—

თავს ნუ ჰხრი ძირს!.. შემომხედე პირდაპირ,
ნუღარც ოხრავ და ნუღარც გებრალები,
ფარისევლის ნიღაბი ჩამოიხსენ,
გამისწორე ეგ ცბიერი თვალები!

—

ნუ გგონივარ საბრალო მამაჩემი—
ბოქულაძე მუშად დაბადებული,
ვინც სიცოცხლე—ძალზე განაწამები,—
სიამენი, გრძნობა დაგუბებული
შემოგწირა, მხოლოდ ლუკმა პურისთვის...
სოფლის გარედ უწყალოდ განდევნილსა,
ვისც აჯექი ზურგზე სიმდაბლისათვის.

—

ბოქულაძემ არ იცოდა, ვინ იყო,
დღე მარადის ცრემლს აფრქვევდა მწუხარე,
ვერა გრძნობდა, რომ ისიც კაცი იყო,
ამშვიდებდა მარტოოდენ სამარე!

—

გულ-მოკლული უმეცარი, საბრალო
ვერ ხედავდა მომავალშიც ნუგეშსა,
შავი მიწაც მას არგუნე სამადლოდ,
შესცქეროდა შენს ხელსა და უბესა!
„წყეულ იყოს მუშის გამჩენელიო!“
დღე და ღამე—მარად—თავსა გლოვობდა
და, ბეჩავი, მლოდნე შენის წყალობის
შენ გლოცავდა, მარტო შენ გაკურთხებდა.

—

მომისმინე, ჩემო ნაბატონარო!
ნუ მიბღვერი, ნუ გამდგარხარ განზედა.
მიტომ ჯავრობ, ცხოვრების ნებიერო,
რომ არ გიმღერ მამიჩემის ჰანგზედა?

—

გაუმარჯოს მუშა კაცის მარჯვენას,
ღვაწლ მოსილსა ტანჯვას, შრომას მრავალსა!
გზა გაგვეხსნა ცხოვრების სარბიელის,
ტრფობით შევცქერთ ჩვენს ახლო მომავალსა!
განცხრომის ძეო! ნუ კარბიხარ, მოიცა,
მათქმევინე ჩემი გულის ნაღები:
ეს ქვეყანა მარტო შენთვის არ ქმნილა,
აწ იკმარე, რაც მოჰხადე ნაღები!
ზღვა-ხმელეთი გეკუთვნოდა ოდესღაც...
გაზაფხული სურნელების ნიავით
შენ გატკბობდა... მაღლით გიღიმოდა ცა.
ნებიერად გაზრდილ, გალაღებულსა
არად გიჩნდა სხვა—შენებრივ კაციცა.

—

ნუ წუწუნებ... თავსაც ნუღარ მაბრალებ,
ნუ მიწოდებ ძმათა და მეგობრათა..
ან კი მითხარ, რა აქვთ საძმო, საერთო
ალალ მუშათ და მზაკვარ მეკობართა!

—

რისთვის შეჰკრთი! გაიგონე კიჟინა,
ბაღით გესმის ჭიანურის, ლხინის ხმა?
იქ არიან ჩვენი მუშა ბიჭები,
შრომის შემდეგ გაუმართავთ დიდი სმა...
წავალ მეც იქ... იმათმც ვენაცვლები!
უიმათოთ არად მიღირს სიცოცხლე,
შრომის შვილნი „ერთობას“ ვუგალობებთ
ერთობაა ჩვენი ბჭე, ჩვენი ზღუდე.
იქვე დავლევ მამის შესანდობარსაც,
იმ საბრალოს საიქიო უყვარდა...
ახლა იგი შენთვის დამილოცნია,
ნებიერო, ფლიდო, ურცხვო მურია,
გეყო, მშურო, ამდენი ბატონობა,
დღიურ მუშას—მეც სიცოცხლე მწყურია!!

ია ეკალაძე.

მოუსვენარი

(ამბავი).

მაღალ, სქელ-კედლებიანი და დახავსებულ-დარკინულ ფანჯრებიანი საპყრობილე, ვით დადარდიანებული გლახაკი მხიარულებას, ნაღვლიანად გადაჰყურებდა გაღვიძებულ, ამოძრავებულ ქალაქს და შიგ გამომწყვდეული ადამიანი მით უფრო გრძნობდა თავისუფლების ძალას და მის სიტკბოს მოკლებული მით უფრო სწუხდა, იტანჯებოდა.

ქუჩის მხრივ, ერთ კედელთან, გატკეპნილ ბილიკზე დიდი მტვრიანი წაღებით და თეთრ კაფლიანებული ხალათით, ერთი კუთხიდან მეორეში ზანტად მიდი-მოდიოდა დარაჯი. თოფი უშნოდ გაედო მხარზე, ქუდი თვალებზე გადმოეფარებინა და გახურებულ მზეს პირს არიდებდა.

ციხეს შიგნით სამარისებური სიჩუმე იყო. დრო გამოშვებით სადღაც, კუთხეში, ყრუდ გაისმოდა ბორკილის შემზარავი ჩხარუნი, ზედამხედველთა სასტიკი ხმა და დარაჯთა ფეხის ბარტყუნი.

ციხის მომზირალი კაცი რაღაცა სისასტიკესა გრძნობდა. რკინა და ქვა, ზედამხედველთა მკაცრი სახე და დარაჯთა ერთგულობა, აი რა იყო ციხის სიმაგრე.

ციხე სდუმდა, ვით რკინის გალია დამონავებულის ლომისა.

დილა იყო, მზე უმოწყალოდ სწვავდა და ახურებდა სახლების ქვიტის სახურავებს, ქვიტკირის კედლებს და ქვებით მოჭედილ ქუჩებს. ვით გახურებულ თონის თავზე, ჰაერი ერთს ალაგას შეგუბებულიყო და მზის სხივებზე ლაპლაპებდა.

ქალაქის მცხოვრებნი გაოფლიანებულ, მოხარშული სახით მოშიშავით პირს აღებდნენ და ძნელად სუნთქავდნენ მტვრიან, გახურებულ ჰაერით.

ქალაქი № თავის დღიურ საქმეს შესდგომოდა. ლუკმა პურის ძებნაში, ვისაც როგორ შეეძლო, მხნეობდა, ფუსფუსებდა. ერთი ერთმანეთს ანგარიშს უწევდა.

საქმესა და ფიქრებში გართულნი, დღიური მუშა, ვაჭარი, წვრილი მოხელე გულგრილად უქცევდნენ ციხეს მხარს და აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ შესაძლებელი იყო როდისმე, რაიმე განგებით, რომელსამე მათგანს ამ ჭუჭყიან, ჩამონგრეულ, მაგრამ მრისხანე კედლებში თავი ამოეყო და ისევე დაღვრემილიყო როგორც ამ ციხის ფანჯრები, კედლები და უზარმაზარი, რკინით დაჭედილი ალაყაფის კარები.

დრო გამოშვებით დარაჯი ერთს ალაგს ჩერდებოდა, მზისგან გახურებულს თოფს მხრიდან იშორებდა და უაზრო თვალებით შეჰყურებდა ციხის კედლებს, სახურავს, ფანჯრებს, გამვლელ-გამომვლელთ.

ის იყო შუატანისა, გამხდარი, სუსტი და ფეხებს ძლივს ადგამდა, პატარა უწვერ-ულვაშო, ქერა სახე მზისგან გაწითლებოდა და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. მთელი მისი არსება ტანჯვად გადაქცეულიყო. მაგრამ თავს იმაგრებდა და ყოველ წუთს აქეთ-იქით იხედებოდა, რომ ანაბარისა არაფერი დაეკარგა და ყველაფერი ისე შეესრულებინა, როგორც ნაბრძანები და კოჭაპივით შესწავლილი ჰქონდა.

მოწმენდილ-მოკრიალებულ ცაზე მზემ მაღლა აიწია და ახლა ქალაქს პირდაპირ დასცქეროდა. ქუჩებში სიარული შესწყდა, ყველა სულდგმული გაურბოდა სიცხეს და სცდილობდა თავი ჩრდილისთვის შეეფარებინა.

დარაჯი კი კვლავ მიდი-მოდიოდა.

„დარაჯი თვალს უნდა ადევნებდეს, რომ ტუსაღები ხმა-მაღლა არ ლაპარაკობდნენ, თუთუნს არ სწევდნენ, არ ლოთობდნენ, ციხეს ძირს არ უთხრიდნენ...“ იმეორებდა ის გულში წესდებიდან გაზეპირებულ სიტყვებს და ციხის კედლებს შიშით შესცქეროდა.

დიდის სიამოვნებით გადააგდებდა იგი თოფს, მოშორდებოდა ამ გახურებულს მზეს, წავიდოდა სადმე შორს, მინდორში, წყლის პირათ და იქ სიგრილეში, ჩეროს ქვეშ, მისცემდა თავს სიზარმაცეს და ტკბილს ოცნებებს.

დარაჯი გადაჰყურებდა ქალაქს და უნებლიედ აგონდებოდა თავისი სოფელი, გრილი, საამური, საყვარელი, აგონდებოდა მისი ასწლოვანი ხეები, ანკარა წყლები, ცივი წყაროები. დაგცხება—წყალს მიაშურებ, დაიღლები—სადმე ხის ჩრდილში მისწვები, გრილად მიიძინებ. გამჯავრებელი არავინ გყავს, მით უმეტეს მბრძანებელი. მუშაობაც იქ სასარგებლო, საამური, საყვარელია... „აქ კი“ — ოხრავს დარაჯი და გამვლელ-გამომვლელს ყველას მტრულის თვალით უცქერის, გული ეღრინება, ყველას ემუქრება.

ბრალი მისი, ვინც ციხეს ახლოს გაუვლის, ან გამოელაპარაკება! შხამიანის, სასტიკის ხმით შეუტევს და თავხედს თავში თოფის კონდახს დაჰკრავს, მუცელში შუბს ატაკებს.

იმ წუთს ის დაბმულ ქოფაკსა ჰგავს, რომელსაც ვერც საჭმელით, ვერც ალერსით ვერ მოისყიდი და გაავებულ-გაანჩხლებული ყველასა ჰყეფს, მზად არის, ყველა შუაზე გაწიწკნოს.

— რაზედ ჰფიქრობ, მეგობარო?—მოესმა მას უცბად ხმა მაღლიდან.

დარაჯმა თოფ-ნაკრავივით მაღლა აიხედა. ფანჯარაში ერთ ტუსაღს თავი გამოეყო.

— კიდევ! დასწყევლოს ღმერთმა! — გაიფიქრა დარაჯმა და თვალები ძირს დახარა.

ეს ერთი საათია, რაც ეს ტუსაღი შვებას არ აძლევს. ხან რაზე ელაპარაკება, ხან რაზე. ტუსაღთან ლაპარაკი კი აკრძალულია. ბევრჯელ გაუჯავრდა, ბევრჯელ დაემუქრა, მაგრამ ტუსაღი მაინც არ ეშვება და ელაპარაკება...

ის იყო 25—26 წლის ყმაწვილი კაცი, ლამაზი, ვაჟ-კაცურის სახისა. სქელი, შავი წვერ ულვაში საამურად უმშვენებდა დაწმენდილს, ფერ-მიხდილს პირის კანს. მის შავსა და ღრმა, მოელვარე თვალებში ნათლად ეხატებოდა მედგარი სული და დაუშრეტელი ენერგია. ამგვარი თვალები, სახის ამგვარი გამომეტყველება ადამიანებში მხოლოდ საქმის ფანატიკოსებსა, იდეის მედგარ, უშიშარ მებრძოლთ აქვთ, იმ მებრძოლთ, რომელნიც წინ-დაუხედავად დანიშნულ მიზნისკენ ჯიუტად მიისწრაფიან... მათთვის არ არსებობს არც დაბრკოლება, არც დაღლილობა, არც იმედის დაკარგვა, არც გულის გაცივება.

დარაჯი ერთს ალაგს ტოკავდა და შიშით აქეთ-იქით იცქირებოდა.

— თუ კიდევ დაიწყო ლაპარაკი, ვესვრი!—

შესახებ, ეს საკითხი კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციისაგან ცალკე იქმნება განხილული.

◆ როგორც სადგურ ქიათურიდან გვატყობინებენ, 2 სექტემბერს, შუადღისას, ვიღაც შეიარაღებულნი უცნობი პირები თავს დასხმიან ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას და **წაუღიათ 50 ათასი მანეთი.** სროლის დროს დაჭრილა კანტორის უფროსის მეუღლე. დამნაშავენი ვერ შეიპყრეს.

◆ პარასკევს, 2 სექტემბერს, დილით დუშეთის ქუჩაზე 6 **ტყვიით მოჰკლეს გოროდოვოი მიხეილ იავუნოვი.** დამნაშავეს წაუღია გოროდოვოის რევოლვერი და მიმალულა.

◆ კავკასიის ნამესტნიკის სავანგებო მინდობილობათა მოხელე **თავ. პ. ა. გრუზინსკი დაინიშნა გორისა და დუშეთის მაზრების სამოქალაქო ნაწილის დროებით გენერალ გუბერნატორად**, ხოლო მის განკარგულების ქვეშ ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. გუგუშვილი (კავკ.).

◆ ცხინვალიდან „კავკ.“-ს ატყობინებენ, რომ 31 აგვისტოს, იქ მოუკლავთ **სტრაჟნიკების ურიადნიკი დევიატკა.** მკვლელი მიმალულა.

◆ ქიათურაში, 1 სექტემბერს, რევოლვერით **მოუკლავთ** სოფ. ქალიის მცხოვრები, აზნაური **ნესტორ აბაშიძე.** მკვლელი ვერ აღმოუჩენიათ.

◆ საერობო დაწესებულებათა დებულების განსახილველად ბათუმში **არჩეულ იქმნენ**: ქალაქის მოურავი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, გ. დ. ჟურული, გ. ვოლსკი, ზია-ბეი აბაშიძე, ისააკ ეფენდი ხარვაში და ა. რუტკოვსკი.

◆ **ამ დღეებში მოუკლავთ** მეზრანის საუფლისწულო მამულების მცველი **მამედ-ბეგ-ალიევი.**

◆ კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს დირექტორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ნახიჩევნის მაზრაში დაზარალებულ სომეხთა სასარგებლოდ **ხელისმოწერის გამართვის ნებართვას ვერ მოგცემთო.**

◆ ამ დღეებში **ქ. გროზნას დასცემიან ჩაჩნები.** ორი კაზაკი მოუკლავთ, იარაღი წაურთმევიათ და წასულან (რ. ს.).

◆ ფინანსთა სამინისტროს რწმუნებული გენერალი **ჟუნკოვსკი გაემგზავრა ბაქოს**, სადაც სამთო დეპარტამენტის დირექტორთან და გადასახადთა დეპარტამენტის რევიზორთან ერთად შეუდგება გამოკვლევას იმ ზარალისას, რომელიც ნავთის მწარმოებელთა და ხაზინას მიაყენა უკანასკნელმა არეულობამ.

◆ კბილის ექიმი ა. დერკოვსკი კავკასიის ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობს, ნება მომეცით ტფილისში **კბილის საექიმო ნორმალური სკოლა** დავაარსოო.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ, რომ გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა, ვითომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას 17 საპრემიო პიესა მიეღოს,—სიმართლეს მოკლებულია. დღემდის გამგეობამ მხოლოდ ერთი პიესა მიიღო.

◆ რამდენიმე სომეხ ახალგაზდას აზრად აქვს **პროვინციაში გამოსცეს პროვინციალური გაზეთი** ერცელის პროგრამით. გამომცემელს ექიმ ბ-ნ ტერ-ისაჰაკიანს უკვე თხოვნა მიუცია უმაღლეს ადმინისტრაციისათვის.

◆ **ქუთაისის მაზრის უფროსი თავ. დადეშქელიანი** ინიშნება ბათომის ოლქის უფროსად.

◆ ტფილისში ქუთაისის ბანკის განყოფილების გამგედ ყოფილი **ნეს. გუგუშვილი** დაინიშნა ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწედ.

◆ როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, ახლად დანიშნული გუბერნატორი ბ-ნი სტაროსელსკი ამჟამად **შორაპნის მაზრაში მოგზაურობს** და ეცნობა სახალხო სასამართლოს და ყველა იმ დაწესებულებებს, რომლებიც ხალხმა თითონ დაიწესა, და კმაყოფილია ამ სასამართლოთი.

◆ სადგურ აჯიქაბულიდან გვატყობინებენ, რომ ადგილობრივ საფოსტო სატელეგრაფო განყოფილებას **თავს დასხმიან უცნობი პირები** და 850 მანეთი წაუღიათ. დამნაშავენი ვერ უპოვიათ.

◆ ბაქოდან 1000 კაცი მაჰმადიანი სპარსეთს გადახვეწილა. 1200 **რუსი მუშა გაქცეულა.**

◆ ბორჩალოს მაზრაში სოფლის საზოგადოებათა და მემამულეთა **წარმომადგენლების არჩევნები სამაზრო** საბჭოში 29 აგვისტოს დასრულდა. სამაზრო საბჭოს სხდომები 9 სექტემბერს დაიწყება,

◆ ბაქოში **თუმცა მშვიდობიანობა ჩამოვარდა**, მცხოვრებნი მაინც დიდ შიშში არიან. დრო გამოშვებით ქალაქში თოფებს კიდევ ისვრიან. ეშინიათ შავ ქალაქში ნავთსადგურებს არ წაუკიდონ ცეცხლი. ქალაქი ორად გაყოფილა. სომხები ქალაქის ერთ ნაწილში სახლდებიან, მაჰმადიანებ—მეორეში. სანოვაგე ძალიან გაძვირებულა: ხორცი 30—40 კ.; პური 10—15 კ. და სხვა.

◆ როგორც ამბობენ, სასინოდო კანტორაში გაფლანგული ფულის მომეტებული ნაწილი **მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად მოგროვილ თანხიდან ყოფილა აღებული.**

◆ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო ა. ი. როსინის და ი. ი. ბელოუსოვს **კისლოვოდსკში გამოსცენ ყოველდღიური გაზეთი „ნარზან“.**

◆ ტფილისის გუბერნიისა და სამაზრო **სამხედრო საკრებულოები** გადავიდნენ ერთად მიხეილის ქუჩაზე, ყარალოვის სახლში, № 213.

◆ იენის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე, სარქის ვარდაპეტიანი იცვა დისერტაციას. დისერტაციისათვის ბ-ნ ვარდაპეტიანს მიეცა ფილოსოფიის დოქტორობა.

◆ ქ. ზმიურნიაში (ოსმალეთი) ჩამოუხრჩვიათ ერთი სომხი რევოლიუციონერი პეტროსი. იმან ორი წლის წინად მოჰკლა ერთი გამოჩენილი სომეხი მეგაზე, რომელმაც ფული არ მისცა სომეხ რევოლიუციონერთა კომიტეტს. ზემოხსენებული პირი საჯაროდ ჩამოახრჩვეს (ს. ვ.).

◆ სექტემბრიდან ბოლგარიის ქ. ფილიპპეში გამოვიდა ახალი გაზეთი სომხურს ენაზე. ამ გაზეთს ჰქვიან სახელად „რაზმიკ“. გაზეთის რედაქტორად დანიშნულია ცნობილი ოსმალეთ სომეხი მწერალი რუბენ ზარდარიანი. ამ ახლო ხანებში ქ. თავრიზში დაარსდება **რუს-სპარსული სკოლა.** ამ სკოლას აარსებს ი. ი. სუხანოვი.

◆ რევიზორის თუმანოვის მკვლელი ა. ღლონტი თავდებ-ქვეშ გაანთავისუფლეს.

◆ ოქტომბრის შუა რიცხვებში დანიშნულია **მეაბრეშუმეთა კრება.**

◆ პარასკევს, 3 სექტემბერს, ოლგას ქუჩაზე ელექტრონის კონკას ქვეშ დადებული პეტარდა გასკდა და დაამტვრია როგორც თვით ვაგონი, ისე ახლო-მახლო სახლების შუშები.

◆ მიწად-მოქმედების გამგეობის უფროსი გ. ი. ზედგენიძე ბორჩალოს მაზრაში გაემგზავრა.

ქუთაისის ცხოვრება

20 აგვისტოს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. რ. ლ. ნიჟარაძის თავჯდომარეობით მოხდა მაზრის საერობო სათათბიროს პირველი სხდომა, რომელსაც დაესწრო 7 სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენელი, 4 ქალაქის საბჭოს წარმომადგენელი და 6 სხვიდ მიწათმფლობელობისა. რადგან 29 აგვისტოს ქალაქის თეატრში არ მოხერხდა წვრილ მიწადმფლობელების წარმომადგენელთა არჩევა, ამიტომ საზოგადოებამ წერილებით დაასახელა ასარჩევი კანდიდატები და წარუდგინა თავმჯდომარეს. უკანასკნელის წინადადებით სათათბირომ კენჭი უყარა მათ და აარჩია წვრილ მემამულეთა წარმომადგენლებად. არჩეულ იქმნა სულ 8 კაცი: გ. დ. მესხი, გ. დ. ქორქაშვილი, ი. გ. გომართელი, ს. გ. ყიფიანი, ბ. გ. ყიფიანი ბ. ზ. მოსეშვილი, ი. გ. ქუთათელაძე, ი. გ. კვიცარიძე და ს. გოგოლაშვილი. სათათბირომ, სხვათა შორის, დაადგინა: ზიზღი გამოეცხადოს იმ პირთ, რომელნიც გახდნენ მიზეზად თბილისში მომხდარ არეულობისა და ხოცვა-ჟლეტისა.

1 სექტემბერს ქუთაისში მოხდა სრული გაფიცვა. მაღაზიები და სხვადასხვა სავაჭროები დაკეტილი იყო; ქალაქის გამგეობაში, ბანკებში, სასამართლოებში, და სხვა კერძო, თუ საზოგადო დაწესებულებებში მუშაობა შეწყვეტილი იყო; ქუჩებს ნამდვილი სამგლოვიარო ფერი ედო: ეტლებისა და ბოჭკების ხრიალი არ არღვევდა სიჩუმეს; არ ისმოდა აგრეთვე სიმღერის და მხიარულების ხმა; ქალაქის ბაღი მთელი დღით დაკეტილი იყო...

როგორც გავიგეთ, ქუთაისში მდგომი ქვეითი ჯარი სხვაგან გადაჰყავთ, მის ნაცვლად კი სხვადასხვა ადგილებიდან მოჰყავთ ახალი ჯარი. ჯარის ერთი ნაწილი უკვე ჩამოვიდა ქუთაისში, რომელსაც თან ჩამოიტანა ექვსი ზარბაზანი.

ქალაქის საბჭოს პირველი სხდომა, საზოგადოებრივ არეულობის შემდეგ დანიშნულია 5 სექტემბრისათვის. ამ დღისათვის საბჭოს ბევრი საქმე აქვს გასარჩევი.

ისარა.

ახალი სომხური გაზეთი.

წარსულ კვირას გამოვიდა პირველი ნომერი ახალ სომხურ გაზეთის „არშალუის“-ისა. ჩვეულებრივ ყოველ ახალ ორგანოს რედაქცია გამოსთქვამს ხოლმე პირველ ნომერში თავის რწმენას და აცნობს მკითხველებს იმ მიმართულებას, რომლის მომხრე და ცხოვრებაში გამტარებელი უნდა იქნეს ახალი ორგანო. „არშალუი“სის პირველ ნომერშიაც დაბეჭდილია მეთაური წერილი, რომელშიაც რედაქცია შემდეგ ნაირად განმარტავს ამ ორგანოს დანიშნულებას.

ახალი გაზეთი... მაგრამ რა იქმნება იგი? რა მიმართულებას დაადგება, რანაირ აზრების გამომხატველი შეიქმნება?—დაებადება უსათუოდ მკითხველს ამისთანა კითხვები.

ამის პასუხად ჩვენ გწერდით; „არშალუის“-ის მიზანი იქმნება, მკითხველებს ახალი და სასარგებლო მასალა მიაწოდოს; ამისთვის ჩვენ პროგრესიულ იდეალებს შევეხებით, ავხსნით თანამედროვე ცხოვრების მოვლენებს, საზოგადოებრივ მოძრაობას და ამით ვეცდებით, სომეხ ერის პროგრესიულ კულტურას ხელი შევუწყოთ.

გაზეთის კითხვა და გავრცელება ის ძალაა, რომელიც ყოველ ადამიანს, ყოველ ეროვნებას, ვისაც კი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენა აინტერესებს,—აკავშირებს და კერძო პირებსა და მთელს ეროვნებას საშუალებას აძლევს პროგრესიულ გზას დაადგნენ.

„არშარუისს“ ეს მიზანი უდგია თვალ-წინ; იგი ყოველთვის ეცდება მაღლა ასწიოს ეროვნებათა სოლიდარობის დროშა, დროშა სამართლისა და მიუდგომლობისა; იგი შორს იქმნება ვიწრო, პირად ანგარიშებისაგან, ეხსომება მუდამ, რომ პრესსა საზოგადო ინტერესების დამცველია, და არა კერძო მიზნების განმახორციელებელი ასპარეზი.

თანამედროვე საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ბევრი დიდ-მნიშვნელოვანი საკითხი წამოაყენა. „არშალუისი“ ეცდება მკითხველებს მიაწოდოს წერილები და ცნობები, რომლებიც სომეხ მკითხველებს საშუალებას მისცემს სამართლიანად ასწონ-დასწონოს ეს საკითხები და მიემხროს იმ მიმართულებას, რომელიც სომხის ერს კეთილ-დღეობამდე და სასურველ მერმისამდე მიიყვანს.

ისტორიული ფაქტები სომეხ ერისთვის ისე მიდიოდა, ცხოვრების პირობები იმნაირად ეწყობოდა, რომ ამ ერის ერთი ნაწილი იძულებული შეიქმნა დაეტოვებია თავისი სამშობლო, სამშობლო, რომელიც მითის სისხლითვე არის მორწყული, და გადასახლებულიყო ამერიკაში, აფრიკაში და ინდოეთშიაც-კი. „არშალუისი“ ეცდება თავის მკითხველებს ამ ახალშენების შესახებ დაწვრილებითი ცნობები მიაწოდოს ხოლმე. ამ ახალშენებში, რასაკვირველია, თავისი საკუთარი მოვლენები და საკითხებიც იქმნება, მაგრამ „არშალუისი“ მაინც ეცდება ეს დაშორებული ნაწილები შეუკავშიროს იმათ, ვინც ახლა თავის სამშობლოში დარჩენილან.

სომხის ერი თავის საცხოვრებელ ადგილებში გარშემო მცხოვრებ ერებთან არის დაკავშირებული და მათთან ერთად საერთო ინტერესები და კულტურული მისწრაფებანი აქვს. ამიტომ „არშალუისი“ ყოველთვის ეცდება გარშემო მცხოვრებ ერებთან მტკიცე კავშირი და ურთიერთობა შეჰქმნას. ამისთვის იგი წინ სოლიდარობის იდეალს წამოაყენებს და მეზობელ ეროვნებათა ცხოვრებასა და მწერლობას, შეძლებისამებრ, სომხის ერს გააცნობს.

რადგანაც ეკონომიურ საკითხებს და განსაკუთრებით მუშათა კლასის მდგომარეობასა და მისწრაფებას საზოგადო ცხოვრებაში თავისი ადგილი უჭირავს, „არშალუისი“ ამ საკითხებსაც ფართო ადგილს დაუთმობს. სამეცნიერო მიმოხილვით და ფაქტების მოყვანით „არშალუისი“ ეცდება დაიცვას ისეთი წინადადება, რომელიც გონიერი და სამართლიანი იქმნება.

რაკი ასეთი ფართო მიზანი აქვს რედაქციას, მან წინდაწინვე იცის, რომ მეტად ძნელისა და ეკლიანის გზით მოუხდება სიარული, მაგრამ ის მაინც თამამად ადგება ამ გზას, რადგანაც დარწმუნებულია, რომ მასთან ერთად სომეხ ერის საუკეთესო ნაწილი იქნება; იცის, რომ ხელს შეუწყობენ ისინი, ვისაც ხალხის ინტერესების დაცვა სურს და ვინც ფხიზელ და ახალი ძალებით არის შეიარაღებული.

შეძლების დაგვარად, ამ ძალების შეკავშირება და მისწრაფება უკეთეს მომავლისაკენ, საერთო საკაცობრიო იდეალისკენ, ეროვნული დამოუკიდებელი არსებობა და პროგრესის დიადი დროშა,—აი რა იქმნება „არშალუის“-ის ემბლემა.

როგორც მკითხველი ხედავს, „არშალუისის“ „პროგრამა“ ძალიან ბუნდოვანი და გაურკვეველია. არც ერთ სოციალ-პოლიტიკურ საკითხზე რედაქცია არ იძლევა იმდენად გარკვეულ პასუხს, რომ მისი საფუძვლით შეიძლებოდეს ყოველ-მხრივ დასაბუთებულ აზრის შედგენა ამ ორგანოს მიმართულებაზე. ის საგნები, რომლებზედაც ყოველ ორგანოს უხდება ხოლმე ლაპარაკი, არის უმთავრესად პოლიტიკურ-ეროვნულისა, სოციალ-ეკონომიურისა და საერთო კულტურულ ხასიათისა. არც ერთ ამგვარ საკითხზე ,,არშალუისი'' არ იძლევა გადაჭრილ პასუხს. აქ ვერ ვიგებთ, თუ რანაირი შეხედულება აქვს რედაქციას სომეხ ხალხის ეროვნულ ორგანიზაციის შესახებ, ამ მხრით როგორი მერმისი მიაჩნია მას სასურველად და მისწრაფების ღირსად; როგორ უცქერის რედაქცია რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობას და რაგვარ ცვლილებათა მომხრეების რიცხვის გამრავლება სურს მას თავის მკითხველებში; რა შეხედულებისაა იგი თანამედროვე ეკონომიურ წყობილების შესახებ, რა სოციალ-ეკონომიური იდეალი უნათებს მას გზას და სხვა და სხვა. ყველა ამგვარ ძირითად საკითხებზე რედაქცია სდუმს, ან ისეთ პასუხს იძლევა, რომლიდანაც არავითარ გარკვეულ დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება.

მაგალითად, საზოგადოებაში კლასობრივ ურთიერთობისა და მუშა-ხალხის შესახებ სწერს: ,,რადგანაც ეკონომიურ საკითხებს და განსაკუთრებით მუშათა კლასის მდგომარეობასა და მისწრაფებას საზოგადო ცხოვრებაში თავისი ადგილი უჭირავს (!), „არშალუისი“ ამ საკითხებსაც ფართო ადგილს დაუთმობსო«. დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი გაზეთი, რომელიც „ფართო ადგილს“ არ უთმობდეს იმ საკითხს, რომელსაც ცხოვრება წამოაყენებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი, ვითარცა ცხოვრების მოვლენათა არა გამომხატველი თავის-თავად ჩაქრება. თუ საზოგადოებაში მუშათა კლასი არსებობს და „მუშათა საკითხი“ წარმომდგარია, ცხადია, მას გზას ვერ აუვლის ვერც ერთი გაზეთი, რა მიმართულებისაც უნდა იყოს იგი,—იგი იძულებული იქნება ,,ფართო ადგილი დაუთმოს'' ამ საკითხს. ამიტომ იმის თქმა, რომ ჩვენ ,,ფართო ადგილს დავუთმობთ მუშათა კლასის საკითხებსო'', არავითარ გარკვეულ აზრის თქმას არ მოასწავებს. საქმე ის არის, თუ რა შეხედულება აქვს მუშათა კლასობრივ მისწრაფებაზე თვითონ რედაქციას. მაგრამ ამას პირველ საპროგრამო წერილში ფრთხილად ჰმალავს ეს ორგანო და მხოლოდ იმას ამბობს, რომ ჩვენ ვეცდებით დავიცვათ მუშათა ,,ისეთი წინადადება, რომელიც გონიერი და სამართლიანი იქნებაო''. თითქო ცნება ,,გონიერი და სამართლიანი'' რაიმე გარკვეული ცნება იყოს და მისი თქმა კმაროდეს მიმართულების დასახასიათებლად!..

ასევე გაურკვეველია გაზეთის აზრი „ეროვნებათა სოლიდარობის“ შესახებაც. მართალია, იგი ამბობს, რომ „მაღლა ასწევს ეროვნებათა სოლიდარობის დროშას, დროშას სიმართლისას და მიუდგომლობისას“, მაგრამ აქაც არაა ახსნილი და ნათლად განმარტებული, თუ რა პოლიტიკურს საფუძველზე უნდა იყოს, მისი აზრით, «ერთა სოლიდარობა». აქაც განყენებული ცნება «სიმართლისა და მიუდგომლობისა» საკმაოდ ნათელი არაა, ვინაიდან მასში არავითარ კონკრეტულ შინაარსს არ სდებს რედაქცია.

ერთის სიტყვით, ყოველი სტრიქონი გაზეთის საპროგრამო წერილისა ასეთ გაურკვევლობის ნიმუშია. აი, თუნდა შემდეგი დამახასიათებელი ადგილი: „არშალუისის“ მიზანი იქნება,—ამბობს რედაქცია,—მკითხველს ახალი და სასარგებლო მასალა მიაწოდოს. ამისთვის ჩვენ პროგრესიულ იდეალებს შევეხებით, ავხსნით თანამედროვე ცხოვრების მოვლენებს, საზოგადოებრივ მოძრაობას და ამით ვეცდებით, სომეხ ერის პროგრესიულ კულტურას ხელი შევუწყოთო“. თურმე მიმართულების გამორკვევას ნიშნავს, როცა გაზეთი იტყვის: „მკითხველს ახალ და სასარგებლო მასალას მივაწოდებთ!..“ დედამიწაზე არ მოიპოვება ისეთი გაზეთი, რომელიც მკითხველისათვის უსარგებლო მასალის მიწოდებას სთვლიდეს თავის მიზნად. ამიტომ, ,,არშალუისის'' ლოღიკურ განსაზღვრას რომ მივყვეთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ყველა გაზეთები ერთის მიმართულებისა ყოფილან, ვინაიდან ყველანი ცდილობენ ,,მკითხველს სასარგებლო მასალა მიაწოდონ''. ან რას ნიშნავს შემდეგი წინადადება: ,,ჩვენ პროგრესიულ იდეალებს შევეხებით?“ პროგრესიულ იდეალებს ყოველი გაზეთი ეხება და ამ მხრით მათ შორის განსხვავება არ არსებობს. მაგრამ ერთი ორგანო ხსენებულ ,,იდეალებს'' ერთის საზოგადოებრივ თეორიის მიხედვით ,,ეხება'', მეორე—მეორე თეორიის მიხედვით და ასეთ სხვადასხვა გვარად ,,შეხებაში'' გამოიხატება გაზეთების სხვადასხვა გვარი მიმართულება. ,,არშალუისს'' კი გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ რახან სთქვა: ,,პროგრესიულ იდეალებს შევეხებიო'', ამით თავისი მიმართულება ნათლად და გარკვეულად გამოხატა...

მკითხველი ხედავს, რომ ,,არშალუისის'' საპროგრამო წერილი ტიპიური ნიმუშია ლიბერალურ ფრაზეოლოგიისა. იქ ნათქვამია ყველაფერი და—არაფერი. მიუხედავად იმისა, რომ წერილში ხშირად ნახმარია ლიბერალური სიტყვები, მკითხველი იქიდან გარკვეულ აზრს ვერ გამოიტანს გაზეთის მიმართულებაზე.

ყოველ შემთხვევაში, რაც უნდა ბუნდოვნად ჰქონდეს ამ გაზეთს თავისი მისწრაფება გამოხატული, ერთი-რამ საკმაოდ ნათლად სჩანს მის საპროგრამო წერილიდან: სახელდობრ ის, რომ ამ ორგანოს არაფერი სცხია არა თუ სოციალიზმისა, არამედ უბრალო დემოკრატობისაც. როგორც ეტყობა, იგი იქნება მიმართულებით ლიბერალი და სოციალ-პოლიტიკურ საკითხებში იმგვარსავე პოზიციას დაიჭერს, როგორიც უჭირავს ყველგან ლიბერალურ მიმართულების ჟურნალ-გაზეთობას...

განაპირა ადგილების საკითხი რუსეთში.

ამჟამად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია რუსეთში განაპირა ადგილების საკითხი. ამ ადგილებში მძლავრი ეროვნული მოძრაობა თანდათან იზრდება... ზოგიერთს ჰგონია, ყველა ეს ეროვნება სეპარატისტობას ადგება და სცდილობს ჩამოშორდეს რუსეთს პოლიტიკურად. ამ აზრის გავრცელებით უნდათ გაამართლონ რეპრესსიები...

მაგრამ გადახედეთ ევროპის რუქას. აქ იმდენი ნაირ-ნაირი ეროვნება არის ერთმანეთში არეულად დასახლებული, რომ მათი სეპარატისტობა ძნელი წარმოსადგენიც არის. თვით პოლონეთსა, ფინლანდიაში ხალხი ასე ადვილად არ გასწყვეტავს კავშირს დანარჩენ რუსეთთან, რადგანაც ეს კავშირი მათთვის მრავალ მხრივ სასარგებლოა...

პოლონელებსა და ფინლანდელებში თუ არ არის სეპარატიზმი, სხვებში იგი ხომ კიდევ ნაკლებად არის მოსალოდნელი.

მართლაც ეროვნულ მოძრაობას სულ სხვა მიზეზი აქვს. ეს მიზეზები ყველასთვის ცხადია და მხოლოდ გონებით დაბრმავებული ან, ეროვნულ სიძულვილით გაგულნთილი ადამიანი ამ მიზეზებს ვერ დაინახავს. განაპირა ადგილებში დასახლებული ებრაელები, სომხები, ქართველები, მაგ., უკვე იმდენად განვითარებული არიან, რომ ველარ იტანენ შევიწროვებას, რომ წინააღმდეგობას უწევენ ყველას, ვინც ჰბედავს მათ შინაურ ცხოვრების შეხებას.

სრული თანასწორობა სახელმწიფოში, აი, ეს არის სხვადასხვა ეროვნების მთავარი მოთხოვნილება. მართალია, ეს მათი ერთად-ერთი მოთხოვნილება არ არის, მართალია, ამასთან ერთად მოითხოვენ პოლიტიკურ და ეკონომიურ რეფორმებს, მაგრამ ყველაზე უფრო ხალხს იტაცებს თანასწორობის იდეა.

უწინდელ დროში დამოუკიდებლობის მოსურნე ეროვნებებს ერთიანად ხოცავდნენ და ნაჯახის ერთის მოქნევით სპობდნენ ეროვნულ საკითხს. ახლა ასეთი ზომები შეუძლებელი შეიქმნა და პატარა ეროვნებათა გადაგვარებას სხვა გვარად ახერხებენ. იქ სადაც ეს პროცესსი აუცილებელია, იგი **თავის-თავად** ხდება, ძალდაუტანებლად.

რუსეთში კი გარუსებას კიდევ თავისებურ ზომებით ცდილობდნენ. სხვადასხვა ერიგნებას ავიწროვებდნენ და ამითი მათ ერთმანეთში აკავშირებდნენ, ძალმომრეობა ჰქმნიდა ეროვნულ მოძრაობას, რომელმაც ახლა აშკარა პროტესტის სახით იჩინა თავი.

სასტიკი, კანსაკუთრებული ზომები დროებით თუ შეაჩერებენ მოძრაობას სხვადასხვა ერში. სამუდამოდ მოძრაობის მოსპობა ამ ზომებით არ შეიძლება. დღეს შეჩერებული ეს მოძრაობა ხვალ ორკეცის ძლიერებით თავს იჩენს. სასტიკი ზომები რუსებისთვის კიდევ სხვა მხრივაც საშიში არის. ნუ დავივიწყებთ, რომ ეროვნული მოძრაობა მოედო განსაკუთრებით განაპირა ადგილებს, რომ იგი განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, დასავლეთისკენ, სამხრეთისკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაც... ძნელი იქმნება აჯანყების გაჩერება თუ მას მეზობელი სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ... ამან შეიძლება გამოიწვიოს ომიანობა გერმანიასთან, ავსტრო-უნგრეთთან... თუმცა ძნელი წარმოსადგენიც არის ასეთი ომიანობა, მაგრამ მაინც შეუძლებელიც არ არის. ესეთ ომიანობის დროს განაპირა ადგილებში მცხოვრებ ერებს დიდი მნიშვნელობა ექმნებათ...

ამიტომ რუსებისთვის აუცილებლად არის საჭირო განაპირა ადგილებში მცხოვრებ ერების მომხრობა.

ანგლო-საქსონები ამნაირ შემთხვევაში სხვადასხვა ერების მოსამხრობად მათ ანიჭებენ უფლებებს, პრივილეგიებს, ავტონომიას. რუსეთში კი არავის არავითარი პრივილეგია არ უნდა, ყველა მხოლოდ თანასწორობას მოითხოვს (ს. ო.).

◆

ქართველი ვაჭარი.

— ქართველი ვაჭარი! განა ქართველებშიაც არიან ვაჭრები? წამოიძახა ალპუ-მირზამ და დაუმატა—ქართველებს რომ სხვადასხვა პროფესიის ხალხი ჰყავთ ეს კი ვიცი, მაგრამ თუ ქართველი კაცი ვაჭრობას მოახერხებს, ამას კი ვერ წარმოვიდგენ.

— მერე რატომ ვერ წარმოიდგენ?

— იმიტომ, რომ ქართველი კაცი მეოცნებეა და ანგარიშისა არა იცის-რა.

— აბა, ცილს რადა სწამებ?

— ცილს კი არა ვწამებ, მართალს მოგახსენებ, ჩემო ვანო. განა შენ როდისმე ანგარიშის მცოდნე ქართველი გინახავს? აბა, მაგალითად, უთხარი: ამა და ამ საქმეზე 100 მანეთს მოიგებთქო. მეორე დღეს იგი დარწმუნებული იქმნება, რომ ასი მანეთის მაგიერად ათას მანეთს მოვიგებო. ვაჭარი კაცი ასე არ უნდა ჰფიქრობდეს. თუ უთხრეს: ამა და ამ საქმეში 100 მანეთს მოიგებს, იმან უნდა თავისთვისა სთქვას: მატყუებენ, ასი მანეთი მოგება გადაჭარბებულიაო. მე ჩემს დღეში არავისთვის არ დამიჯერებია. მე ჩემი საკუთარი მოანგარიშე მყოლია ჩემი სადი გონება, რომელსაც არავის ფანტაზიას არ ვუქვემდებარებ. შენც ასე მოიქეცი, ჩემო ვანო. ვაჭრის თავი სალხინო დარბაზი კი

გაიფიქრა და იმ ადგილს გაშორდა.

ტუსაღმა ლაპარაკი შესწყვიტა, მოთმინებით უცდიდა, გამოვლის დროს ფანჯარას როდის დაუახლოვდებოდა, და განაგრძო

— მე შენ ვნებას არ მოგიტან, მინდა მხოლოდ გაგიზიარო ჩემი ფიქრები. ყური დამიგდე და გაიგე, რა არის სიცოცხლე და რას წარმოადგენს ჩვენი ცხოვრება...—ტუსაღი ახლა აღარც კი დაეძებდა, უგდებდა დარაჯი ყურს თუ არა. რამდენიმე თვის დაგუბებულმა გრძნობამ გადმოჰხეთქა, თავისუფალი ადგილი იპოვა და მთის ნაკადულივით აზვირთებული ძირს დაეშვა.

ის ხელოვნურად უხატავდა ერთი-ერთმანეთზე უარესს სურათს, დაჰყურებდა დარაჯს ჩაკვირვებით, სევდიანის თვალებით, თითქოს უნდა გიპნოზით ერთს ალაგას გააქვავოსო; ელაპარაკებოდა მჭერ-მეტყველურად, ღრმა რწმენით, უწმინდეს გრძნობით გატაცებული და აღფრთოვანებული. უხატავდა მას ადამიანის ცხოვრებას, როგორც ბრმას, რომელსაც დაბადებიდანვე თვალები არ დაჰყოლია და ვერ ხედავს ვერც ბუნების სიმშვენიერეს და ვერც ადამიანის სიმუხთლეს... და აცნობდა მას უცნობ მაარეს, საუცხოვო, მშვიდობიან კუთხეს, სადაც სიღარიბეს, ცარდს, ვარამს, ძალმომრეობას, ჩაგვრას ადგილი არა აქვს, სადაც ადამიანი-ადამიანია და ქვეყანასა ზედა სათნოება სუფევს.

ტუსაღი დიდხანს ლაპარაკობდა, თვალები უელავდა; მის ბაგედან ხან შხამი გადმოჰქუხდა, ხან ტკბილი სიტყვები; ხან შფოთავდა, ხან ნეტარ გრძნობებს ეძლეოდა. ტუსაღი თავდავიწყებას მისცემოდა: აღარ ხედავდა დარაჯს, ვერც ციხეს, ვერც არე-მარეს, გრძნობებს გაეტაცნა, მისი სული სადღაც შორს სივრცეში დაფრინავდა.

დარაჯი ერთს ალაგას გაქვავებულიყო. უნებლიედ გულმოდგინედ უსმენდა... ტუსაღის ალმასივით მკვეთრი სიტყვები ხან საგონებელში აგდებდნენ, ხან კი აშფოთებდნენ... მაგრამ ბოლოს შიშმა შეიპყრო, უცბად შეინძრა, დაფეთებულმა აქეთ-იქით მიიხედა და სასტიკი ხმით ფანჯარაში შესძახა.

— Уйди отъ окна !!

ტუსაღმა ლაპარაკი შესწყვიტა, დარაჯს ჩააკვირდა და... შეკრთა.

დარაჯს ტუსაღი ნიშანში ამოეღო,

— Уйди !!

— ჩამოეცალე... გესვრის !! — გაისმა მეორე ფანჯრიდან შეშინებული ხმა ამხანაგისა.

ტუსაღს ეს ხმა არ გაუგონია. უყურებდა დარაჯს და ერთს ალაგს გაქვავებულიყო. — ნუ თუ ?! — ჰფიქრობდა ის.

ერთხანს შეინძრა, გაფითრდა, მაგრამ რამდენისამე წუთის შემდეგ მისმა სახემ ისევ ძველი გამომეტყველება მიიღო.

— რად მესვრის? რა დავუშავე?! არა მგონია!..

— Уйди отъ окна!!—ერთხელ კიდევ გაისმა ხმა სივრცეში.

ტუსაღი რაღაცა ანდამანტს მიეკრა ფანჯრის რკინებზე. ის მისჩერებოდა თოფის ლულის შავს წერტილს და ხან ფითრდებოდა, ხან წითლდებოდა. ტუჩებზე სიბრალულის ღიმილი უთამაშებდა.

— ნუ თუ? ნუ თუ?! — ეკითხებოდა ის თავის თავს და ადგილიდან არ იძროდა.

ეს მოხდა რამდენისამე წუთის განმავლობაში. უცბად თოფმა იგრიალა. შავი, სქელი კვამლი ჰაერში ავარდა და ციხის კედელს მოეფინა.

კვამლი რომ დაიშალა, ტუსაღი ფანჯარაში აღარ სჩანდა.

პირდაპირ მეორე ფანჯარაში ამხანაგი იდგა. სახე გაფითრებოდა, თვალები გასდიდებოდა და შიში, უზომო შიში იხატებოდა მთელს მის არსებაში.

ციხის აუარებელი ფანჯრები ტუსაღთა შეშინებულ სახეებით გაივსო. სხვადასხვა კუთხიდან გამორბოდნენ აფიცერი, ჯარის-კაცნი, ზედამხედველნი.

დარაჯი კი იდგა ანგარიშ-მიუცემლად... და თვითონაც შეშინებული საიდღანღაც შველას ელოდა...

ხვ. ყიფიანი.

არ არის, მთელი დღე ზურნა დაფს რომ უკრავენ და ლეკურს უვლიან.

პირველ ყოვლისა ვაჭრობის რაოდენობა უნდა უდრიდეს თანხის რაოდენობას. ცოტა თანხა გაქვს?—პატარა ვაჭრობას მოჰკიდე ხელი. ვალს ერიდე, რადგანაც ვალის სარგებლის გადახდას შენი თანხაც თან გადაჰყვება. ვიდრე პატარა ვაჭრობა გაქვს, ვიდრე პატარა თანხას ატრიალებ, შენც ხელ-მოკლედ უნდა იცხოვრო, თორემ შენ თანხას შენც თან გადაჰყვები. შემოსავლის ერთი მეოთხედი ყოველთვის ვაჭრობის გასაფართოვებლად უნდა გადასდო, ხოლო, თუ ამისი შნო არა გაქვს, არც ვაჭრად ვარგიხარ.

დიაღ, შენ ყოველთვის ხელმოკლედ უნდა იცხოვრო, თუ გინდა რომ ბოლოს შენც გამდიდრდე და შენი შვილებიც შეძლებულნი იყვნენ.

შენ ამბობ, რომ აგრე ცხოვრებ არ შემიძლიანო?! კარგი, ახლა თუ ღმერთი გწამს, რას მიქვიან ,,აგრე ცხოვრება არ შემიძლიანო! შენ უნდა შეიძლო, მორჩა და გათავდა!

შენ რომ გაღარიბდე არც კარაპეტა და არც მე, ალბუ-მირზა, ერთ გახვრეტილ შაურიანსაც არ მოგცემთ. იმ კაცს, რომელსაც თავის ჯიბის დაგვარად ცხოვრება არ შეუძლია, სხვა ერთ ბისტსაც არ მისცემს. ნუ ხარ-მეთქი მეოცნებე.

არა, ძმაო, შენ რომ მოხვიდე ჩემთან და მითხრა: ალბუჯან, შენი ჭირიმე ერთი სამი დღით ოცი-ოცდა-ათი თუმნით ხელი გამიმართეო,—გროშსაც არ მოგცემ, იმიტომ რომ ეს სამი დღე სამ საუკუნედ გადაიქცევა და იქნება ჩემმა შვილის-შვილის-შვილმაც კი ვერ აინაზღაუროს ეს ფულები.

ან ვისი იმედი უნდა გქონდეს, განგებისა თუ? არა, მამავ, ყველა კაცს თავის თავის იმედი უნდა ჰქონდეს. არც ბიძა, არც ძმა, არც მოყვარე შენ არას გამოგადგება, რადგანაც იმათაც თავისი თავი გასჭირებიათ. ხოლო თუ გინდა რიგიანად, ხელმომჭირედ იცხოვრო, ურჩიე შენ ქალბატონს, რომ ხელი გაანძრიოს. ის ხომ დილით საღამომდის ლაპარაკს უნდება, ან მეზობლებში დახეტიალობს, რომლებიც ისევე უსაქმური არიან, როგორც თვით შენი ქალბატონი! დიაღ, შენმა ქალბატონმაც უნდა იშრომოს, ისიც მხარში უნდა ამოგიდგეს, თორემ ვაჭრობიდან დიდი მოგებაც რომ გქონდეს შენი მეუღლე გაჰფანტავს, რადგანაც ის დიასახლისი, რომელსაც შრომა არ უყვარს, თავის დღეში ხელმომჭირნე არ იქნება. შაურის მაგივრად, აბაზს დახარჯავს და მალე ქისას დაგიცარიელებს.

შენ უნდა ერიდო მარტო დიდ-ხარჯს კი არა პატარასაც. წვირმალნი ხარჯები უფრო სახიფათოა. ერთის თითო-ოროლს შაურის ხარჯვა არაფრად გეჩვენება, მაგრამ საღამოზე რომ დაითვლი, კაი ძალი ჯამი შედგება. მართალია შაურები შეუმჩნევლად ჯიბიდან რწყილებივით ამოხტიან, მაგრამ ბოლოს ჯიბე კი ცარიელდება. როცა ამ შაურებსა ხარჯავ უნდა ასწონო-დასწონო და გაითვალისწინო, ღირს თუ არა ერთი შაურის დახარჯვაც კი. არაფერი გეწყინოს რა ჩემო ძმაო, მე გავიხსენ სიმართლის კარები და თუ ჩემ რჩევაზე გაივლი, მერე მომიგონებ, ახლა კი მშვიდობით!

არტულ-ლეისტი.

ერობის შემოღება კავკასიაში

(ტფ. საბ. კრება)

2 ენკენისთვეს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოში მოხდა კრება ტფილისის მაზრის მცხოვრებთა წარმომადგენლებისა, რომელთაც ერობის შესახებ უნდა ჰქონოდათ მსჯელობა. გუშინწინდელ კრებაზე წაკითხულ იქმნა 64 და 90 წლების ერობათა დებულება და პროექტები იმ ერობათა, რომლებიც ციმბირსა და ქუთაისის გუბერნიებში უნდა შემოიღონ. 2 ენკენისთვის სხდომაზე ლაპარაკი ჩამოვარდა ცენზის შესახებ. წამოაყენეს საკითხი საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე. ბ-ნი **ფერაძე** წინააღმდეგი გახდა ამგვარ არჩევნებისა ტფილისის მაზრაში და თავისი წინააღმდეგობა იმითი დაასაბუთა, რომ ამ შემთხვევაში ქალაქი ყოველთვის დასჯაბნის ხოლმე სოფელსაო. ვსთქვათ, ერობას სკოლა აქვს დაარსებული, სამკითხველო, ან სხვა რამ, ამ შემთხვევაში ქალაქის მცხოვრებლები, ხმის უმრავლესობით, საკითხს ყოველთვის თავის სასარგებლოდ გადასწყვეტენ ხოლმეო: ბ-ნმა **ჭიაბრიშვილმა** ჯერ დაასურათა საერთოდ ისეთი წარმომადგენლობა, რომელიც საცენზო პრინციპებზე არის დამყარებული და მერე განმარტა, რომ იმ მხრით, საიდანაც ბ. ფერაძე უვლის საყოველთაო საარჩევნო უფლებას საფრთხე არ მოელის, რადგანაც ამა თუ იმ საჭიროებებზე თვით ხალხი კი არა მსჯელობს, არამედ ამ ხალხის მიერ ამორჩეული წარმომადგენელები, რომლებსაც კარგად უნდა ჰქონდეს გამორკვეული, მაზრის რომელი ნაწილი რაში საჭიროებობსო. ამავე საგანზე ლაპარაკობდა ბ-ნი **გ. რცხილაძე**, რომელმაც, სხვათა შორის, დაასურათა ერობის დანიშნულება და განმარტა, რომ ერობა ხარჯების ასაკრებად კი არ არის შემოღებული, არამედ საჭიროებების დასაკმაყოფილებლადაო. ამიტომ ყურადღება იმათ კი არ უნდა მივაქციოთ, ვისაც ცენზი აქვს, ესე იგი ვისაც ხარჯის გაცემა შეუძლიან, არამედ იმათ, ვინც ერობის დახმარებაში საჭიროებენ, ესე იგი ხალხსაო. ამისათვის საჭიროა, რომ ერობაში წარმომადგენლების ამორჩევას უსათუოდ საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპი დაედოს. რაც შეეხება იმას, რომ ამ შემთხვევაში ქალაქს უფრო მეტი ხმა მიეცემაო, ეს შიში უნაყოფო შიშია. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რანაირ საარჩევნო რაიონებად დაიყოფა ტფილისის მაზრა. თუ ქალაქს ბევრი სოფლები მიაწერეს, მაშინ ქალაქს მეტი ხმა მიეცემა, თუ ნაკლები—მაშინ ნაკლები. **ბ-ნი ჯაბადარი.** უნდა გადასწყდეს, მიღებული იქმნება 64 წლის დებულება, როგორც უვარგისი, თუ დავუცდით ახალ დებულებას, რომელიც ახლო მომავალში უნდა შემუშავდეს რუსეთში. **ბ-ნმა კუპჩენკომ**, სახელმწიფო მამულების წარმომადგენელმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ნამესტნიკის მიერ გამოცემულ ინსტრუქციის ძალით, ჩვენ ახალი დებულება კი არ უნდა შევიმუშაოთ, არამედ უნდა 64 წლის დებულება განვიხილოთ და, თუ საჭირო იქნება, კიდეც შევასწოროთო. ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, მიღებულ უნდა იქნეს, თუ არა 64 წლის დებულება და, თუ მიღებულ უნდა იქმნას—რანაირის ცვლილებებით. ბევრის კამათის შემდეგ გადასწყვიტეს: რადგანაც ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია უიმისოდ, სანამ დაწვრილებით არ იქმნება გარჩეული დებულების ძირითადი პრინციპები შეუდგნენ ამ მუხლების დაწვრილებით განხილვას. მეორე სხდომაზე განსახილველად რამდენიმე მუხლი აღნიშნეს და დაიშალნენ. შემდეგი სხდომა დღეს დილის ათ საათისთვის დაინიშნა.

კორესპონდენცია

დ. ყვირილა. ქუთაისის გუბერნატორის მოწერილობის თანახმად, შორაპნის მაზრის თავად აზნაურობის წინამძღოლმა ნესტორ ხიდირბეგიშვილმა დანიშნა კრება 27 აგვისტოს, სადაც უნდა აერჩიათ წარმომადგენლები სამაზრო საბჭოში, რომლებმაც უნდა განიხილონ საკითხი ჩვენში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

კრებას 1,500 კაცი დაესწრო. მარშალმა ნ. ხიდირბეგიშვილმა აუხსნა საზოგადოებას მიზანი და გააცნო დებულება საერობო დაწესებულებისა და წინადადება მისცა—აერჩია 16 საქმის მცოდნე წარმომადგენელი (12 წვრილ მემამულეთაგან, 4 მსხვილ მემამულეთაგან) განურჩევლად წოდებისა.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ კრების გახსნამდე აზრი გაყოფილი იყო სამ ნაწილად. „უმრავლესობა" გლეხებსა და აზნაურების წარმომადგენლებისა ,გადაჭრით უარს აცხადებდა წარმომადგენლების გაგზავნაზე. „უმცირესობა"-გლეხებისა და აზნაურებისა, მართალია, ეჭვის თვალით უყურებდა მთავრობის მიერ ნაბოძებ ერობას, მაგრამ წარმომადგენლების გაგზავნაზე მაინც თანახმა იყო. მესამე ნაწილი, ეგრედ წოდებული, ინტელიგენცია, ერობის შემოღებით თუმცა არ კმაყოფილდებოდა, მაგრამ წარმომადგენლების გაგზავნაზე მაინც თანახმა იყო.

თ. ხიდირბეგიშვილის სიტყვის შემდეგ, ზოგიერთებმა ითხოვეს, რომ კრება გადადებულიყო შემდეგისათვის და ცალცალკე მომხდარიყო საზოგადოებათა არჩევნები. მაგრამ უდროობისა გამო ეს აღარ მოხერხდა.

კ. ჩხეიძე—უარ ჰყოფდა ერობის შემოღებას და ურჩევდა კრებას დეპუტატი აერჩიათ და ჩვენი ჭირვარამი პირდაპირ ხელმწიფეს მოხსენებოდა.

თავ. სვიმონ წერეთელმა უპასუხა, რომ აქ ერობის შესახებ გვაქვს ლაპარაკი და ხელმწიფესთან დეპუტატის გაგზავნაზე სხვა დროს გვექნება მსჯელობაო.

კ. მოდებაძემ გაარჩია დებულება ერობისა 64 წლის და იმათ დაათავა, რომ კონტროლს ისევ მთავრობა უკეთებს ამ დაწესებულებას. უმთავრობოდ ერობის წარმომადგენლებს უფლება არა აქვთ ერთი კაპეიკის დახარჯვისაო. .... გვინდა ისეთი ერობა, სადაც ბიუროკრატია საქმეში არ გაერევაო.....

კიტა აბაშიძემ გარკვევით ახსნა ერობის მნიშვნელობა, გააცნო საზოგადოებას ქუთაისში შემუშავებული პროექტი ერობის შესახებ და თან დასძინა: 30 წელიწადია, ერობას ვთხოულობთ, მაგრამ დღემდის მთავრობამ ყურადღება არ მოგვაქცია. ... მოვითხოვოთ ერობა საუკეთესო, ნუ დავჯერდებით 64 წლის ერობას, მაგრამ ნურც იმას ვიზამთ, რომ შეზღუდულ უფლებებით ვისარგებლოთ..... მე არაოდეს არ გირჩევთ, რომ მარტო ერობით დაკმაყოფილდეთ და, რომ ვიცოდე მარტო ერობით დაკმაყოფილდებით, ერობაზე პირველად მე განვაცხადებ უარსო..

კიტა აბაშიძის ლაპარაკის შემდეგ, „უმცირესობამ" მოითხოვა—თავმჯდომარე ამოერჩია თითონ ხალხს, ნესტორ ხიდირბეგიშვილის თავმჯდომარეობაზედ კი უარს აცხადებდა.

არ იქნა და ვერ დაარწმუნეს „უმცირესობის" წარმომადგენლები, რომ თავმჯდომარის გამოცვლა მოუხერხებელია და ამორჩეულ წარმომადგენლებს გუბერნატორი არ დაამტკიცებსო, თუ მარშალი არ იქნა თავმჯდომარედაო.

ამასთანავე აუხსნეს, თუ თქვენ კრებიდან გახვალთ, ვინც დარჩება, ის ამოირჩევს წარმომადგენლებსაო. მაგრამ უმცირესობაზე ვერც ერთმა ვერ გასჭრა და უმცირესობა კრებიდან გავიდა.

—

შუა ქართლი, 25 აგვისტო. წითელმა რაზმმა გაიმარჯვა, შავი რაზმი უკან-უკან იხევს და დავლად მთელ თავიანთ იარაღს სტოვებს ყველგან, სადაცკი წითელ რაზმს მედგარი იერიში მიაქვს, შავი რაზმი ხელში უვარდება. წითელი რაზმის იერიშები ბევრგან კეთილად დაგვირგვინდა. მოისმის პროვინციებიდან: ეს და ეს შავი რაზმის კაცები დახოცეს, იარაღი წაართვესო, და სხვა. დღეს ყველანი სცდილობენ შავი რაზმის განადგურებას... ყოველ დღე მოისმის შავი რაზმელების თხოვნის ხმა, თქვენი ჭირიმეთ, ნუ დაგვხოცავთ, გავბრიყვდით, აბდალ-ოღლიმ მოგვატყუა, ძმებზე ძალად აგვამხედრა, არ ვიცოდით მათი პროგრამა და ძალაზე გლეხობასთან გადაგვკიდა, მიგვიღეთ თქვენ ძმად, მთელ იარაღს რაც მოცემული აქვთ, თქვენ გადმოგცემთო, და სხვა და სხვა. *).

ამგვარად, შავ რაზმს ფრთები ეკვეცება, წითელი რაზმი ყველგან გამარჯვებული რჩება. როგორც წინა წერილში მქონდა მოხსენებული, ქვემო და ზემო-ნიქოზში და დვანის მახლობლად რაც კი შავმა რაზმელებმა მკვიდრთ წაართვეს, ყველაფერი პატრონებს დაუბრუნეს, მიიღეთ რაც წაგვიღია, ოღონდ თავი დაგვანებეთო. მოსალოდნელია, ამ ცოტა ხნებში უფრო ძრიელ გამწვავდეს შავ-რაზმთან ბრძოლა, რადგანაც ზოგიერთი ვნახოთ მომავალი რას მოგვიტანს.

ქარ-ცეცხლი.

—

როგორც მარშალმა, ისე თავ. კიტა აბაშიძემ გადასცა გლეხების წარმომადგენლებს, რომ, ოღონდ თქვენ აარჩიეთ წარმომადგენელი და ჩვენ არჩეულებს გამოვცვლით და თქვენსას მივიღებთო. როგორ მოიქცევიან, ჯერ გამოურკვეველია. დიდის კამათის შემდეგ კრებაზე დარჩენილებმა ამოირჩიეს შემდეგი პირები: 1) ბეჟან წერეთელი, სიმონ გიორგის ძე წერეთელი, გედევან ჩუბინიძე, ირაკლი იაშვილი, ზაქარია მაჭავარიანი, კალისტრატე ჩაგვაძე, დავით ღამბაშიძე, გრიგოლ წერეთელი, კიტა აბაშიძე, ჯიბო იაშვილი, ვანო არდიშვილი, მიხეილ გაჩეჩილაძე, თეოფილე ხუსკივაძე, ალექსანდრე საყვარელიძე, დავით აბდუშელიშვილი და იოსებ გუნცაძე.

მიხ. გაჩეჩილაძე.

---

*) ჩვენ ხელთა გვაქვს რამდენიმე ხვეწნის წერილი შავის რაზმელებისა და თუ საჭიროება მოითხოვს, რედაციას გამოუგზავნით. ქ—ც.—

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ეს წერილი დაბეჭდოთ.

გაზ. „მოგზაურში" [№№ 30 და 32] და „ცნობის ფურცელში" (№ 2829) მოთავსებულია წერილები ბ-ნთ ჩხიკვიშვილისა, ელიავასი, იაშვილისა და სახოკიასი. ამ წერილებში ისინი მეხებიან მე, როგორც სამედიატორო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს, და ზოგიერთ კითხვებზე პასუხს თხოულობენ. სამწუხაროდ, ორ კვირაზე მეტია, ტფილისში არ ვყოფილვარ და ამიტომ ეს ჩემი პასუხი დამიგვიანდა.

„მოგზაურში" ბ-ნნი ჩხიკვიშვილი, იაშვილი და ელიავა მოწმეების ჩვენების შესახებ მეკითხებიან და თხოულობენ ოქმის დამტკიცებასა და გამოქვეყნებას; მთხოვენ, რომ ჩემი აზრი გამოვსთქვა ბ-ნთ ჩხიკვიშვილისა და სახოკიას საქმის შესახებ, მთხოვენ აგრეთვე, რომ პასუხი გავსცე ბ-ნ ფირცხალავას „ცნობის ფურცელში" დაბეჭდილ წერილის გამო. მოწმეების ჩვენების ოქმი, ეს ორი დღეა, რაც ფოთიდან მომივიდა; ოქმი შემიძლია გადავსცე ტფილისში მყოფ მედიატორებს—ნიკო ელიავას და სამსონ ფირცხალავას, როდესაც ისინი მოისურვებენ. რაც შეეხება ჩემს აზრს ბ-ნთ სახოკიასა და ჩხიკვიშვილის საქმის თაობაზე, ამაზე შემდეგი უნდა მოვახსენო. მე, როგორც მედიატორეს, შემეძლო ამ საქმეზე ნამდვილი აზრი შემედგინა და მტკიცე რამე გამომეტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ საქმე დამთავრებულიყო, ყველა მოწმეებს დავკითხებოდით და მათი ჩვენება აგვეწონა. და რადგანაც საქმე არ დამთავრებულა, ამიტომ მე როგორც მედიატორეს, იმის შესახებ აზრი არ შემიდგენია, შემიძლიან მხოლოდ ვსთქვა, რომ ჩემის აზრით არავითარი სამარცხვინო ფაქტი არც ერთ მხრისათვის არ გამოაშკარავებულა.

„ცნობის ფურცელში" ბ. სახოკია საყვედურს მეუბნება, ჯერ დაგვპირდი, საქმეს დავამთავრებთო, და შემდეგ-კი უარი სთქვიო. მართალია, მე ჩემდა თავად პირობა მივეცი ბ-ნ სახოკიას საქმის დამთავრებაზე; ეს იყო მაშინ, როდესაც სასამართლომ სხდომა დახურა იმის გამო, რომ ზოგიერთებმა ერთ მოწმეთაგანს სიტყვა შეაწყვეტინეს და ფანჯრებიდან ოთახში შემოჭყარდენ. მაგრამ მას შემდეგ მოხდა ის გარემოება, რომელმაც თავმჯდომარეობაზე უარი მათქმევინა: მეორე მოწმეს შეურაცყოფა მიაყენეს მოქმედებით და რომ ბ. სახოკია დროზე არ მიშველებოდა, შესაძლებელია, საქმე ცუდად ჩაირდა. ამიტომ ბ. სახოკიას საყვედური უსაფუძვლოდ მიმაჩნია.

„ცნობის ფურცლის" და „მოგზაურის" რედაქციებს ვსთხოვ ეს ჩემი წერილი გადაბეჭდონ.

ნაფიცი ვექილი **ვ. ა. დემიდოვი.**

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

3 სექტემბერი.

პეტერბურგი. 2 სექტემბერი. გრაფ სოლსკის კომისია საცაა დაამთავრებს დამატებით კანონ-პროექტს სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების შესახებ.

ამ დღეებში გამოაცხადებენ კანონს ქალების მხრით არჩევნებში მონაწილეობისას. განმარტებიდან სჩანს, რომ საარჩევნო სიებში უნდა შეიტანონ ის ქონება, რომელიც ქალებს ეკუთვნით. ქალებს შეუძლიანთ თავიანთი უფლებები ქმრებსა და შვილებს გადასცენ. განზრახულია საარჩევნო კრებების ნებართვა მისცენ ამომრჩეველთ პოლიციის დაუსწრებლად.

„სლოვო"-ს გაუგია, რომ სახელმწიფო საბჭოში განზრახულია განიხილონ და განმარტონ ყოველ სამინისტროს მოვალეობა და ფუნქცია. აგრეთვე განზრახულია ახალ სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს დაარსება. ლითონის მკეთებელ ქარხნების მუშათა შორის ლაპარაკია იმის შესახებ, რომ პეტერბურგის სალითონო ქარხნების მუშებმა კავშირი შეადგინონ თავიანთ ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საერო განათლების მინისტრს წარუდგა უმაღლეს საქალებო კურსების პროფესორთა დეპუტაცია, რომელმაც უმაღლეს კურსებისთვისაც ავტონომია მოითხოვა.

„ტორგოვო-პრომიშ. გაზ." იუწყება, რომ პეტერბურგში ამ დღეებში გაიმართება კრება ნავთის მრეწველობის საჭიროების შესახებ. კრებას სხვადასხვა სამრეწველო დაწესებულებების წარმომადგენლნიც დაესწრებიან.

ტოკიო. იაპონიის პრესსა ზავის პირობების წინააღმდეგობას აღარ იჩენს, დაწყნარდა და ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის გამორკვევას შეუდგა. ქვემო პალატის კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს გამოიძიოს უკანასკნელ არეულობის მიზეზები, ხვალ თათბირი ექმნება კაცურასთან და მოითხოვს სამხედრო წესის გაუქმებას.

ბუდაპეშტი. ნომუშავეებმა საერთო არჩევნების უფლების მოსათხოვნად დიდი მანიფესტაცია მოახდინეს.

პეტერბურგი, 2 სექტემბერი. ციმბირის რკინის გზის ვაგონებს ევროპის რკინის გზებზე გზავნიან. გადაწყვეტილია ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ნავთზე ტარიფს არ დაუკლონ.

პეტერბურგი, 2 სექტემბერი. ზავის ჩამოგდების გამო ომის ველზე ბევრი ლაზარეთი და საავადმყოფო დახურეს.

რიგა, 2 სექტემბერი. განკარგულება მოახდინეს, რომ ნორვეგიის მხრივ საეჭვო ნავთსადგურებიდან მოსული გემები, კემზაში გაგზავნონ ხოლმე.

ბერლინი, 2 სექტემბერი. რუსების სოფლის მუშებისთვის რუსეთის სამზღვარზე მდინარეებსა და სხვა და სხვა ადგილას სადარაჯოები გამართეს. საქსონიის სეიმში არჩევნებს აუარებელი ამომრჩევლები დაესწრნენ. ბევრს ადგილას სოციალ დემოკრატები იქმნენ ამორჩეულნი.

პარიზი, 2 სექტემბერი. ბანკირი განსბურგი, რომელმაც ამას წინად თავი მოიკლა, დიდს საქმეებში იყო გაშმული და უკანასკნელ ხანებში საქმე ცუდად წაუვიდა. მის თავის მოკვლას კრონიკ საქმეებთან დამოკიდებულება აქვს.

პეტერბურგი, 2 სექტემბერი. შინაგან საქმეთა მინისტრმა მიიღო 2 სექტემბერს კრებაზე შეყრილი თავად-აზნაურთა წინამძღოლები. მინისტრმა აუხსნა მათ სახელმწიფო სათათბიროს დებულების მუხლი, რომლებიც კრებაზე საეჭვოდ აღიარეს. მინისტრმა განაცხადა, დებულების შედგენის დროს გადაწყვეტილი იყო საარჩევნო კრებებისათვის სრული თავისუფლება მიენიჭებინათ გუბერნიისა და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლების თავმჯდომარეობითაო.

პეტერბურგი, 2 სექტემბერი. როგორც კერძო ცნობებიდან სჩანს ,,ნოვოე ვრემია''-ს თანამშრომელი სტოლიპინი „კავკაზ"-ის რედაქტორად ინიშნება.

შულავერი, 2 სექტემბერი. რადგანაც შესაძლებელია რომ სომხებსა და მაჰმადიანებს შორის შეტაკება მოხდეს, შულავერში მოვიდა 50 კაზაკი. მოელიან კიდევ 50.

ტომსკი, 2 სექტემბერი. გამოსაცდელ საქმეთა კომისიამ თავისი მოქმედება შესწყვიტა, რადგანაც კომისიის წევრი და სტუდენტებს უთანხმოება მოუვიდათ. როგორც ამბობენ, საბჭომ გადასწყვიტა ყველა სტუდენტი განსამეორებელ კურსზე დასტოვოს.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილით 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ)

—

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ. ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა'. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ასტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

Въ Центральной книжной торговлѣ въ Тифлисѣ заготовлены учебники, учебныя пособія и книги для домашняго чтенія учащихся въ среднихъ и низшихъ учебныхъ заведеніяхъ. Тамъ же имѣются и постоянно получаются общедоступныя изданія по современнымъ общественнымъ вопросамъ. (3—10).

როიალები, ფისგარმონები.
პიანინო,
გიტარები, გრამოფონები, ფლეიტები, სიმები,
კლარნეტები და სხ. და სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღების შეძენა შეიძლება ფასების ნაწილ-ნაწილად გადახდითაც.

მსურველთ **პრეისკურანტები მუქთად ეგზავნებათ.**

კავკასიის ცენტრალური საწყობი სამუსიკო საკრავებისა
ბ. მ. მირიმანიანისა.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

Кавказское ДЕПО музыкальныхъ инструментовъ
Б. М. МИРИМАНІАНЪ.
Тифлисъ. Дворцовая, д. груз. дворянства.
(25—6.—3)

ახალი წიგნი
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგ ადგილებში:

ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში" და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა" სოსიკო მერკვილაძესთან.
ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა", ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.
ბათუმი: „ამხ. გეორგია".
ფოთი: ლ. ახობაძე.
ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე
ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი
გორი: მიხეილ არჩვაძე.
ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.
ახალ-სენაკი: იოსებ ციბაძე.

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისთვის
დრამატიული პიესა 4 მოქ. და 7 სურათად
და სხვადასხვა ლექსები და პოემები დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—28)

თანხმად მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა ყოფილის სამინისტროს განკარგულებისა, კავკასიის სამთამადნო სამმართველოს უფროსის თანაშემწე სტ. სოვ. მ. ი. ჩინგერი ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მის თავმჯდომარეობით **ამა 1905 წლის 27 ენკენისთვისათვის** ქალაქ ქუთაისში დანიშნულია
მერვე მორიგი კრება
შავიქვის მწარმოებელთა.
განსახილველი საგნებია:

ხუთი ახალი წიგნი
წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი.	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა.	20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:
შოთა რუსთაველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 43 კ, რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ევნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.
და სხვა ყოველგვარი წიგნები.
მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა". **სოსიკო მერკვილაძე.** (20—19)

სახალხო ბიბლიოთეკები
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"
ტ ფ ი ლ ი ს შ ი:
1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვლადიკავკასიის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

Дозволено цензурою' Тифлисъ, 3 Сентября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.